

ამამდრენის, დამღებათისა და განვითარების
პარასტატი 06სტ0ტ0ტ0

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების
კონცეფციის განვითარება

საქრთველოს კონფერენციის მასალები

*საქართველოს განვითარების მინისტრის
მმართველობის და განვითარების
სამინისტროს მინისტრის მიერ მიმღები
განვითარების მინისტრის მიერ მიმღები*


*საქართველოს განვითარების მინისტრის მიერ მიმღები
მინისტრის მიერ მიმღები მინისტრის მიერ მიმღები*

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განვითარება

*საქართველოს განვითარების მინისტრის მიერ მიმღები მინისტრის მიერ მიმღები
საერთაშორისო კონფერენციის გასალები იმუშავები
თბილისი, 1996 წლის 1-2 აპრილი*

*Promotion of this brochure is a positive contribution to the development of Georgia. Proceedings of the
Peace, Democracy and Development Conference (Tbilisi, 1-2 April, 1996) The Conference Initiatives for
International Cooperation (Tbilisi, Tbilisi, 1996)*

*Office for Information and Press and Friedrich Ebert Foundation (Germany)
FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG*



თბილისი 1996

საქართველოს უცხოური უსაფრთხოების



ამ ბროშურაში შეტანილია მასალები საერთაშორისო კონფერენციისა და რეგიონული ჩატარდა ობილისში 1996 წლის 1-2 აპრილს. მასალა მოიხსედა ბულია კონფერენციის მიმღინარეობის დროს ჩატერილი ფირების მხედვით. კონფერენციაზე გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნით მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებებს და არაა აუცილებელი გამოხატავლენენ რომელიმე ორგანიზაციის ან მთავრობის ინტერესებს.

მთავარი რედაქტორი: გია ნოღია

მასალების მომზადება: დავით დარჩიაშვილი, თამარ პატარაია
ნათია თევზაძის მონაწილეობით


მანქანისტურული თემების მიმდევად მომზადებები და მიმღინეულებები

კონფერენციის ჩატარება და ამ ბროშურის გამოცემა შესაძლებელი გახდა ნატოს ინფორმაციის და პრესის ოფისის და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური დახმარებით. ბატონი ქენეტ ბრაჟერის მგზავრობის და თბილისში ცხოვრების ხარჯები გაიღო შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურმა.

Developing National Security Concept for Georgia. Proceedings of the International Conference (Tbilisi, 1-2 April, 1996). The Caucasian Institute for Peace, Democracy and Development, Tbilisi, 1996.

Publication of this brochure has become possible thanks to help of the NATO Office for Information and Press and Friedrich Ebert Foundation (Germany).

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG



მშენდლების, დემოკრატიისა და განვითარების კავშირული ინსტიტუტი
თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, 89/24.

ტელეფონი: 954723, 953287, ფაქსი 954497, ელ. ფოსტა cipdd@cipdd.ge



ეროვნული
ბიბლიოთეკი

სპრემი

მონაწილეთა სია 4

პირული დღე

პლენარული სხდომა 7

1. თავდაცვა და საზოგადოება 20

2. არმის მშენებლობა ეკონომიკურად სუსტ ქვეყანაში 32

შემოწერებული დღე

3. მართვისა და კონტროლის ეროვნული სტრუქტურები 38

4. ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტში. ეთნიკურ-ტერიტორიული კონფლიქტები და უსაფრთხოების რეაქმები საქართველოში 53

ბრენდისტორმინგის შეჯამება და დასკვნითი პლენარული სხდომა 68

51. დავთ ხისტორია, სახისურავის ტრადიციული მნიშვნელობები და მიმდინარეობა. იმპერია საუკეთენო მნიშვნელობის მიერ 12

52. აზერბაიჯანის უსაფრთხოების დაუმდებარებელი სისტემის უნიკალური ხარისხი, რომელიც დაგენერირდა კულტურული და უსაფრთხოების კონკურენციას შესრულებულ განვითარებით, მიერ 13

54. ლიანი სამართლებრივი სტრუქტურების მიზნების მიხედვით, რესპუბლიკური სამართლებრივი სისტემის უსაფრთხოების მიზან 14

55. კათ ხისტორია, სახისურავის ტრადიციული მნიშვნელობები და მიმდინარეობა. იმპერია საუკეთენო მნიშვნელობის მიერ 15

56. აზერბაიჯანის უსაფრთხოების დაუმდებარებელი სისტემის უნიკალური ხარისხი, რომელიც დაგენერირდა კულტურული და უსაფრთხოების კონკურენციას შესრულებულ განვითარებით, მიერ 16

57. ლიანი სამართლებრივი სტრუქტურების მიზნების მიხედვით, რესპუბლიკური სამართლებრივი სისტემის უსაფრთხოების მიზან 17



1. რევზზ აღაშია, ოვდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის დამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.
2. ბესო ალადაშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭო.
3. ირაკლი ალადაშვილი, გაზეთი „7 დღე“.
4. ლევან ალაფიშვილი, საქართველოს ატლანტიკური თანამშრომლობის ასოციაცია.
5. ზაალ ანგაფარიძე, კავკასიური ინსტიტუტი.
6. ნუგბარ ბაბუცექე, ეროვნული უშიშროების საბჭო.
7. ალექსანდრე ბაიჩაროვი, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში.
8. იურგენ ბაიხე, გერმანიის საელჩო საქართველოში.
9. იოსებ ბარნაბიშვილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.
10. მამუკა ბიჭაშვილი, ეკონომიკური და პოლიტიკური საზოგადოებრივი კალეგითი ცენტრი.
11. ელჩი დიტერ ბოლენი, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი.
12. ქენეთ ბრაუნი, ასოციაცია სპექტრუმი, შშ.
13. რევზ გიჩეჩილაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
14. პაატა გიორგიძე, ეროვნული უშიშროების საბჭო.
15. დიტერ გლიცა, ჭორჭ მარშალის ცენტრი, გარმიშ-პარეტენკირხენი, გერმანია.
16. დავით დარჩიაშვილი, კავკასიური ინსტიტუტი.
17. ალი რეზა ეიჰლიმ, ირანის საელჩო საქართველოში.
18. ფილ ვასილევსკი, შშ საელჩო საქართველოში.
19. ნიკო ვაშაკიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
20. პოლკოვნიკი ვან დერ ვეიდენი, ნატო-ს შტაბ-ბინა, ბრიუსელი, ბელგია.
21. ელჩი ჰანს გეორგ ვიერი, მიუნიქინი, გერმანია.
22. ია თიკანაძე, ფრიდრიხ ებერტის ფონდი.
23. განრი კაშია, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი.
24. კახა კაციტაძე, ეკონომიკური და პოლიტიკური საზოგადოებრივი კალეგითი ცენტრი.
25. ლოურენს კერი, შშ საელჩო საქართველოში.
26. ომი კერი, შშ საელჩო საქართველოში.
27. ულიაშ კორტნი, შშ ელჩი საქართველოში.
28. პოლკოვნიკი ფრიდრიხ კრიეზელი, ნატო-ს შტაბ-ბინა, ბრიუსელი, ბელგია.

29. ივანე ლანჩარიშვილი, ეკროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში.
30. მამუკა კუდავა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
31. ომარ ლევანიშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭო.
32. ინა ლეპელი, გერმანიის საელჩო საქართველოში.
33. დიმიტრი ლევანი, ეროვნული უშიშროების საბჭო.
34. ვიცე-პოლკოვნიკი ლინცი, თავდაცვის ფედერალური სამინისტრო, ბონი, გერმანია.
35. დავით ლოსაბერიძე, კავკასიური ინსტიტუტი.
36. გახტანგ მაისაია, საქართველოს პარლამენტი.
37. ირაკლი მელაშვილი, საქართველოს ატლანტიკური თანამშრომლობის ასოციაცია.
38. ვასილი მელინიკი, უკრაინის საელჩო საქართველოში.
39. ვოლფანგ მანიგი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ეგრძობის საქმეთა მრჩევლის მოადგილე, ნატო-ს შტაბ-ბინა, ბრიუსელი, ბელგია.
40. გურამ მანჯგალაძე, დამოუკიდებელი ექსპერტი.
41. გიორგი მანჯგალაძე, დამოუკიდებელი ექსპერტი.
42. ირაკლი მჭედლიშვილი, კავკასიური ინსტიტუტი.
43. ნინო ნანაგა, საქართველოს პარლამენტი.
44. თემურ ნერგაძე, რესპუბლიკური პარტია.
45. გია ნოდია, კავკასიური ინსტიტუტი.
46. თამარ პატარაია, კავკასიური ინსტიტუტი.
47. ზაზა პატარაიძე, საქართველოს ატლანტიკური თანამშრომლობის ასოციაცია.
48. ჭონ რაიტი, ტასის-ის პროგრამის კოორდინატორი.
49. ალექსანდრე რონდელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
50. კაპიტანი ედვარდ როჭერი, ამიერკავკასიის რეგიონული კოორდინატორი, ნატო-ს შტაბ-ბინა, ბრიუსელი, ბელგია.
51. დავით სიხარულიძე, საქართველოს ატლანტიკური თანამშრომლობის ასოციაცია.
52. ანდრეას ფარნერი, გერმანიის ფედერალური შეიარაღებული ძალების უნივერსიტეტი, მიუნხენი, გერმანია.
53. პროფესორი ჩარლზ ფერბენჯსი, ჭონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, ვაშინგტონი, აშშ.
54. ლორის ჩესქვაიერი, ნატო-ს შტაბ-ბინა, ბრიუსელი, ბელგია.
55. კახა ჩიტაია, საგარეო ურთიერთობების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.
56. გენერალ-მაიორი ვალერი ჩხეიძე, საქართველოს საზოგრაფის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.



57. დავით ციცაძე, საქართველოს უშიშროების სამინისტრო.

58. ბესო წილასანი, პარლამენტის კვლევითი სამსახური. კრისტენი

59. მამუკა წურწუმა, ურნალ „მხედარის“ რედაქტორი. პირული

60. ივლიანე ხანდრავა, რესპუბლიკური პარტია.

61. ირაკლი ხართმელი, პარლამენტის კვლევითი სამსახური.

62. გელა ხუციშვილი, სასაზღვრო გარების დეპარტამენტი.

63. გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებათა
სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრი.

64. ვიცე-პოლკოვნიკი ფრეიზერ ჰადოუ, თავდაცვის სამინისტრო, დიდი
ბრიტანეთი.

65. ჯემს ჰაუკროფტი, მშპ საელჩი საქართველოში.



კონფერენცია გახსნა შშვიღობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თაგვიდომარებ გრა ნოდიამ. იგი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს, ჩამოსულ სტუმრებს, აღნიშნა ნატო-ს, კერძოდ კი ბატონი კრის დონელის, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური მრჩევლის და მისი ოფისის დიდი დამსახურება კონფერენციის მომზადების საქმეში. კავკასიური ინსტიტუტი ბატონ დონელისთან ერთად ჭერ კიდევ სამი წლის. წინ გეგმვდა ამ კონფერენციის ჩატარებას, მაგრამ მშინ, საქართველოში არასტაბილური სიტუაციის გამო, მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. დღეს მდგომარეობა შეიცვალა, ამიტომ რიგი ექსპერტებისა ნატოს ქვეყნებიდან ჩამოვიდა, რათა ქართველ სპეციალისტებთან ერთად ემსჯელა იმაზე, თუ როგორ უნდა მოაგვაროს საქართველომ ეროვნული უსაფრთხოების საკვანძო პრობლემები. კონფერენციის დაფინანსება მოხდა ნატოს ინფორმაციისა და პრესის ოფისის და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, რომელმაც უშუალოდ მოახდინა კონფერენციის ორგანიზება, არის არასამთავრობო ორგანიზაცია. ინსტიტუტი თავის ძირითად მისიად საზოგადოებაში დემოკრატიული იდეების გავრცელებას მიიჩნევს. დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში საზოგადოებამ საკუთარი უსაფრთხოების პრობლემებიც ახლებურად უნდა გაიაზროს. სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემები საქამაოდ პოპულარული თემაა საქართველოში, და ქვეყნის პარლამენტიც საქამაოდ დიდ ღროს ახმარდა მასზე მსჯელობას, მაგრამ აქამდე ეს პრობლემები ძირითადად დაიყვანებოდა ერთ საკითხზე – ვისი გავლენის სფეროში უნდა იყოს ან არ იყოს საქართველო და, შესაბამისად, რომელმა საგარეო ძალამ უნდა იზრუნოს მის უსაფრთხოებაზე. ჩვენი აზრით კი, დემოკრატიული საზოგადოების შესაფერისი მიღებით მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნოთ თვითონ ჩვენ, და ეს „თვითონ ჩვენ“ ნიშნავს არა მარტო ერთ უწყებას, რომელსაც ეს ევალება და შესაბამისი სახელი ჰქვია, აგრეთვე ჭარს, პოლიციას და ა. შ., არამედ მთელ საზოგადოებას, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. ჩვენი, ანუ საზოგადოების უფლებაა ვიცოდეთ, თუ როგორ უსრს ჩვენს მთავრობას დაიცვას ჩვენი უსაფრთხოება, როგორ აპირებს იგი ააგოს ჩვენი უსაფრთხოების სისტემა, როგორ ხარჯავს იგი იმ ფულს, რომელიც გამოყოფილია ამ ამოცანების გადასაწყვეტად. ჩვენი მოვალეობაა, ვიფიქროთ ამაზე და სხვას არ გადავაბაროთ ეს ამოცანა. ამ კონფერენციის მიზანი სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობაა.

ჩვენი კონფერენცია დამთხვა რუსეთის თავდაცვის მინისტრის, ბა-

ტონი გრაჩოვის ვიზიტს საქართველოში. ამის გამო, ზოგი სამთავრობო უწყების წარმომადგენელი, რომელთაც უნდოდათ ჩვენს კონფერენციულ ტურნირზე ნაწილობის მიღება და ემზადებოდნენ ამისთვის, მეტისმეტად დაგენერიკულ ლეგები აღმოჩნდნენ და სამწუხაროდ ვერ მოვიდნენ. კერძოდ, ამ და სხვა მზეზების გამო ვერ შედგება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დაგეგმილი გამოსვლა პლენარულ სხდომშე. ამ შემთხვევაში თეორია წინააღმდეგობაში მოვიდა პრაქტიკასთან: ჩვენ ვმსჯელობთ საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციაზე, ისინი კი ქმნიან საქართველოს უსაფრთხოებას, როგორც რეალობას.

ამის შემდეგ თამაგილმარებ სიტყვა გადასცა საქართველოში გერმანის ელჩის მოადგილეს, ქალბატონ ინა ლექციებს. მან გამოხატა გერმანიის საელჩოს მხარდაჭერა კონფერენციის მიზნებისადმი და მიულოცა მშედვობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს ეს ინიციატივა. ეს სემინარი პირველია, სადაც საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის განხილვა შეიძლება მოხდეს. შთამბეჭდავია ამდენი სტუმრის მონაწილეობა განხილვა შეიძლება მოხდეს. წარმოდგენილი ქრისტული მხარე. გერმანიის და ის, რომ ასე კარგადაა წარმოდგენილი ქრისტული მხარე. გერმანიის საელჩო, როგორც ნატოს წამყანი საელჩო, მუშაობს ნატოს „პარტნიორობა მშეორობისათვის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს ინდივიდუალური თანამშრომლობის პროექტზე. ქ-მა ლეპელმა აღნიშნა საქართველოს წარმატებები დემოკრატიული განვითარების გზაზე. შეიქმნა მომგებიანი საგარეო პირობები გვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. ამ მიზნის მიღწევები დახმარებისათვის მზადაა ეუთო-ს მისიაც. საქართველოს დემოკრატია, ეკონომიკური რეფორმები და ფინანსური უსაფრთხოება ჩრდილოეთ ატლანტიკური გაერთიანებული საბჭოს წევრი მთავრობების და ეუთო-ს მუდმივი ჟურალების ქვეშა. ჩვენ არც ის გვინდა, რომ ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება წარიმართოს მეორის ხარჯზე და არც ის, რომ შეიქმნას ახალი განცალკევებული სამხედრო ბლოკები.

დოკტორმა გოლიფანგ მანიგმა, აღმოსავლეთ ევროპის საკიონებში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური მრჩევლის თანამშეტებ, აღნიშნა, რომ ნატო-ს შტაბ-ბინაში მუშაობამდე იგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში კურირებდა საქართველოს პრობლემებს. იგი 1992 წლიდან იცნობს საქართველოს და მას შემდეგ დიდ პროგრესს ამჩენებს, თუმცა პოლიტიკური გარემო კვლავ რთულია და კონფლიქტები არ შეწყვეტილა.

ეს სემინარი ხელს შეუწყობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განვითარებას. საუბარი ძირითადად თეორიიზე იქნება, მაგრამ პრაქტიკულ მაგალითებსაც მოვიშველიებთ იმსა, თუ როგორ ვწყვეტო ნატო-ში ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებს. თუ შევადარებთ ნატო-ს და ყოფილი ვარშავის პაქტის გამოცდილებას, დავინახავთ, რომ ნატო-ს წევრი სახელ-

მწიფო თავად ავითარებს საკუთარ კონცეფციას და შემდგომ ექვებს ბალანსს პარტნიორებთან. ვარშავის ბლოკში კი ყველა ქვეყანა საეჭირო ტატს ემორჩილებოდა.

საბოლოო ჯამში ქართველებმა თავად უნდა იპოვონ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების განვითარების გზა. ექსპერტები ამას ვერ იხამებ მათ მაგიგრად.

უსაფრთხოების კონცეფცია ვერ შეიქმნება ექსპერტთა ვიწრო წრეში. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია ხელი შეეუწყოთ სტრატეგიული საზოგადოებრიობის (strategic community) ჩამოყალიბებას. სემინარიც ამას ემსახურება. შემდგომში სწორედ ეს საზოგადოებრიობა შექმნის უსაფრთხოების კონცეფციას.

პირველი კითხვაა – რა არის სტრატეგიული საზოგადოებრიობა? საბჭოთა საზოგადოება სხვაგარად იყო აქტიური. საბჭოთა სამხედრო დოქტრინის თანახმად გენერალური შტაბი იყო არმიის ტვინი და მონაბოლისტი სამხედრო საკითხების გადაწყვეტილი. სამხედროები ავითარებდნენ თავდაცვის პოლიტიკას, კომუნისტური პარტია კი აკონტროლებდა არმიას, რათა იგი პარტიის მორჩილი ყოფილყო. მაგრამ სინამდვილეში ეს არ იყო ნამდვილი სამოქალაქო კონტროლი, რადგან პარტიას არ შესწევდა ნამდვილი სამხედრო ექსპერტიზის ჩატარების უნარი. პოლიტიკიურის ჰქონდა პრივილეგიები, მაგრამ არ ჰქონდა სათანადო ცოდნა. უსაფრთხოების საკითხების ანალიზი ხდებოდა თავად სამხედროებისა და სუჟის მიერ. თეორია ამბობს, რომ კომუნისტური პარტია ქმნიდა სამხედრო პოლიტიკას, მაგრამ სინამდვილეში გენერალური შტაბი იყო მთავარი.

ღია საზოგადოებაში კი არმია აღმასრულებელია. პასუხისმგებელი სამოქალაქო მთავრობაა. ღია საზოგადოებაში თავდაცვის მინისტრმა უნდა დაასაბუთოს, თუ რისთვის ითხოვს დაფინანსებას. ღია საზოგადოებაში სამხედრომ უნდა დაამტკიცოს თავისი მოთხოვნების მართებულობა. მას თავად სჭირდება სამოქალაქო ინსტიტუტების – მთავრობის, უურნალისტების, მეცნიერების – პარტნიორობა. თავის მხრივ, სამოქალაქო პირებს მოეთხოვებათ ცოდნა, რათა ღირსეული პარტნიორობა გაუწიონ სამხედროებს და მათი კონტროლიც შეძლონ. პარლამენტის სათანადო კომიტეტის წევრებმა უნდა იცოდნენ, რა ღირს ტანკი და რამღენად და რისთვის სჭირდება ის ქვეყანას. ეგებ სხვა ტექნიკის შექენა ჯობია – ეს კითხვა პოლიტიკოსმა უნდა დასვას და არა სამხედრო შტაბმა.

სტრატეგიული საზოგადოებრიობის ფორმირება აუცილებელია, რათა სამოქალაქო პირები გაერკვნენ სამხედრო საქმეში. ეს არაა ექსპერტების უბრალო ჯამი. სტრატეგიულ საზოგადოებრიობაში უნდა შედიოდნენ პოლიტიკოსები, უურნალისტები, მეცნიერები. მისასალმებელია, რომ დღეს ყველა ამ წრის წარმომადგენელი გვესწრება.

სემინარის მეორე საკითხია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის რაობა. ეს არაა სამხედრო ღოქტრინა. ღლეს უსაფრთხოება ბევრად შეტყიშ, ვიდრე წმინდა სამხედრო საკითხი. უსაფრთხოების სისტემა არა შემოსალვლი მხოლოდ არმიით. აქ იგულისხმება სოციალური დაცვა, ეკონომიკა, სამოქალაქო საზოგადოება, შინაგანი სტაბილურობა. მოკლედ, საჭიროა საკითხისაღმი ყოველმხრივი მიღება. ამასთან, უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველი არის რისკის, მოსალოდნელი საფრთხის ფაქტორთა შეფასება. არმია სწორედ ამ რისკის შეფასებებს ეყრდნობა.

ეს სემინარი ეძღვნება არმიის ადგილის შეფასებასაც სამოქალაქო საზოგადოებში. სამშან ჯგუფებში ვისაუბრებთ სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებზე, საპარლამენტო კონტროლზე, პოლიტიკური საფრთხეების შეფასებაზე.

მაგრამ სემინარი ვერ გასცემს ამოწმურავ პასუხს ყველა კითხვაზე. ქართველი მონაწილენი თავად ხართ ექსპერტები. ჩვენ შეიძლება მხოლოდ პრობლემათა იღენტიფიკაციაში დაგეხმაროთ. ვიმეორებ, რომ ჩვენი შეხვედრის მიზანი ქართული სტრატეგიული საზოგადოებრიობის – სამხედრო-გბისა და სამოქალაქო პირების თავმყრაა. უცხოელი ექსპერტები უბრალოდ შესავალ განცხადებებს გააკეთებენ, წარმოაჩენენ ნატო-ს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ, ხშირად განსხვავებულ მიღომებს უსაფრთხოების საკითხებისაღმი. ოქვენ კი შეაფასეთ, რა შეიძლება პასუხობდეს თქვენს მოთხოვნებს. ბოლოს ვისაუბროთ სამომავლო გეგმებზე. დებატები ამ საკითხებზე არ უნდა შეწყდეს. უნდა შემუშავდეს თანამშრომლობის კონკრეტული პროექტები.

ბატონმა დოურენს კერძა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილემ საქართველოში, წაიკითხა ელჩის, უთლიამ კორტნის სიტყვა (ბ-ნი კორტნი კონფერენციის ღლეს თბილისში არ იმყოფებოდა).

სახელმწიფოს „ეროვნული უსაფრთხოება“ ფართო ცნებაა და დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა დემოკრატიული განვითარება, ეკონომიკური რეფორმა, კანონის უზენაესობა, თავდაცვა და რეგიონული ურთიერთობანი. შეერთებული შტატების თვალთახედვით საქართველომ მრავალ სფეროში მიაღწია გარკვეულ წარმატებებს. ეს დადებითი ტერდენციები განსაკუთრებით შესამჩნევაა იმ სიტუაციის ფონზე, რომელსაც აღითო ჰქონდა ქვეყანაში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პირველ წლებში. მშინ საქართველო ორად იყო გახსენილი სამოქალაქო კონფლიქტის გამო. ამ პირველში გამოიწვია ინფრასტრუქტურის განადგურება და რეფორმების დაგვანება. მას შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო კვლავაც დარიბ და დაუცველ ქვეყნად ჩეხება. მისი ტერიტორიის ნაწილები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ანუ ცხინვალის რეგიონი – სეპარატისტუ-

ლი კონტროლის ქვეშაა. აჭარის მხარე ჩამორჩება რეფორმების განხორციელების პროცესში. აზერბაიჯანელთა და სომებთა კომპაქტური განსახლების რაიონებში დაძაბულობის ნიშნები შეიმჩნევა.

გადახხედოთ ეროვნული უსაფრთხოების ძირითად ასპექტებს და ვნახოთ, თუ რა არის მიღწეული საქართველოში თითოეული კატეგორიის მიხედვით.

პირველი დემოკრატიის განვითარებაა. გასულ ნოემბერს პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები უმეტეს რაიონებში შედარებით სამართლიანად და თავისუფლად ჩატარდა. მათ განამტკიცეს საქართველოს სახელმწიფო-ებრიობის, ქვეყნის პრეზიდენტისა და პარლამენტის ლეგიტიმურობა. საქართველოს ხელისუფლება ერთ-ერთი ყყველაზე რეფორმისტულია ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის. ლია დისკუსიებისა და ახალი კანონმდებლობის მიღების გზით პარლამენტი საფუძველს უყრის რეფორმების გაღრმავებას და უფრო პატიოსანი მთავრობის ჩამოყალიბებას. შიდა დაბატულობა ნაკლებად იგრძნობა, ვიდრე ოდესებ დამოუკიდებლობის მიღების შემდგა. მიმდინარე დემოკრატიულ ცვლილებებს არ ემჟქრება ცალმხრივი და უკომპრიმისო პოლიტიკის მომხრე კომუნისტური თუ ნაციონალისტური უმცირესობა.

ქართველები კამათობენ, დაამკიდრონ თუ არა ფედერალიზმი. დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების არჩევითი ორგანოები გადაწყვეტილებათა მიღების დეცენტრალიზაციას უწყობენ ხელს და უფრო უშუალოდ ეხმაურებიან ამომჩეველთა მოთხოვნებს. ამასთან, ადგილობრივი არჩევნები ეხმარებიან სეპარატისტული ტენდენციების შემცირებას, ვინაიდან აჩვენებენ, რომ ადგილობრივი კონტროლი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე შეიძლება რეალობად იქცეს. მრავალნი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ოვლიან, რომ ადგილობრივა არჩევნებმა შეიძლება რეგიონებში არასტაბილურობა გამოიწვიოს და სეპარატისტული ტენდენციები გააღრმავოს. ჩვენი ქვეყნის გამოცდილება საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ამ საუკუნის სამოციანი წლების სამოქალაქო უფლებათა მოძრაობამ აშშ-ში შეასხენა ამერიკელებს, რომ უმცირესობათა საკითხებთან დაკავშირებული დაძაბულობის შემცირება ყველაზე კარგად შეიძლება საზოგადოების დარწმუნებით, რომ თითოეულ მოქალაქეს თანაბარი შანსი აქვს დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობისა.

ეროვნული უსაფრთხოებს შეორე მნიშვნელოვანი ასპექტი იმას უკავშირდება, თუ როგორ განამტკიცებს ეკონომიკურ შესაძლებლობათა რეალიზაცია სახელმწიფოს სტაბილურობას და მოსახლეობის კეთილდღეობას. საქართველო კვლავ სუსტია: ის კიდევ ერთი-ორი წელიწადი იქნება დამოკიდებული ჰუმანიტარულ დახმარებაზე. 1994 წლის პირველ 9 თვეს ინფლაციის საშუალო თვიური მაჩვენებელი 60 პროცენტს აღემატებოდა

— ეს ჰიპერინფლაციაა. მაგრამ საქართველოს ეყო ვაჟკაცობა დაეჭრია ეს სენი. ახალი ფულადი ერთეული — ლარი მყარია, რაც მტკიცე ფულადი და საბიუჯეტო პოლიტიკითაა განპირობებული. ეკონომიკა გამოცილებას იწყებს. მცირე ბიზნესი ძირითადად კერძო მფლობელობაშია.

საქართველო აგრძელებს ეკონომიკურ რეფორმებს. რაკი მრჩეველობის უმეტესი ნაწილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია, ეკონომიკის 80 პროცენტი სოფლის მეურნეობაშეა დამოკიდებული. საქართველოს ეკონომიკისთვის უაღრესად ხელსაყრელი იქნება, თუ მიწა თავისუფლად გაიყიდება, იგარით გაიცემა და დაგირაცებება. ეს საწინარია მნიშვნელოვანი კერძო ინვესტიციებისა ქვეყნის პოტენციურად მდიდარ სასოფლო-სამეურნეო სექტორში. ამას გარდა, მიწის კერძო საკუთრებაში გადასვლა დაეხმარება ეროვნულ უმცირესობებს დაიცვან თავიანთი ინტერესები, როგორც ეს მოხდა ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ომის შემდეგ. არაეფექტური და კორუმპირებული სახელმწიფო მონოპოლიები მძიმე ტვირთად აწევს ეკონომიკას. სახელმწიფო მონოპოლიების დანაწევრებასა და პრივატიზაციას, რაც ახლა საქართველოს პურის კორპორაციის მიმართ ხდება, გადამზადებული მნიშვნელობა აქვს მომავალი ეკონომიკური აღმავლობისათვის. საგადასახადო რეფორმა, რომელიც დააწესებს ზომიერ და წინასწარმეტყველებად საგადასახადო განაკვეთებს და გააფართოვებს საგადასახადო ბაზას, გააფართოვებს ეკონომიკურ შესაძლებლობათა სფეროსაც ის წახალისებს ინვესტიციებს და გზრდის აქტივობას მეურნეობის ლეგალურებულ ნაწილში. საგადასახადო რეფორმა განამტკიცებს სტაბილურობას იმით, რომ უფრო სამართლიანად ანაწილებს საგადასახადო ტვირთს და ზრდის სახელმწიფო შემოსავლებს გამართებული სამთავრობო ღონისძიებების დასაფინანსებლად. მნიშვნელოვანია აგრეთვე კომერციული კანონმდებლობა და საბანკო რეფორმები. ეს ნაბიჯებიც გააქტიურებს კერძო ინვესტიციებს დინამიური და პროდუქტული ეკონომიკის ასშენებლად. მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შეს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ვეროპის საერთაშორისო განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, გერმანია და ეკონოგრატიანება სხვებთან ერთად თანამშრომლობენ საქართველოსთან ამ სფეროში.

საქართველოს გააჩნია იდეალური გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვაო პორტები მთელი კონტინენტის ფარგლებში ტვირთების გადასახიდად. ახალი „ევრაზიის დერეფინი“ გადაჭიმულია შავი ზღვიდან ამიერკავკასიის, კასპიის ზღვის, ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის გავლით ჩინეთამდე. გასულ წელს თურქეთიდან მომავალმა ათი ათასობით სატვირთო მანქანამ გადაკვეთა საქართველოს საზღვარი. ბევრმა მათგანმა აღმოსავლეთისაკენ გააგრძელა გზა „ევრაზიის დერეფინი“ გავლით. ეს განმაცვითებელი ცვლილებაა სატრანსპორტო გადაზიდვების სტრუქტურაში, რაც

სულ რამდენიმე წელიწადში მოხდა. ჩეჩენთისა და აფხაზეთის კანცლიქ-ტების გამო საკინიგზო და ავტოტრანსპორტის მოძრაობა რუსეთიდან საქართველოში და პირიქით გამეჩერდა. დასავლეთის ნავთობსადენად რუსები მხარს, როგორც ერთ-ერთს სხვა მარშრუტთა შორის, გააძლიერებს „ეპრაზის დერეფანს“ კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირების კონკურენტუნარიანი საქესპორტო მარშრუტების შექმნით.

ეროვნული უსაფრთხოების მესამე ასპექტი კანონის უზენაესობაა. ამ მხრივ სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდა დამოუკიდებლობის პირველ წლებით შედარებით. გასულ აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე ტერორისტული თავდასხმის მცდელობის შემდეგ მხედრიონი – ოფიციალური, მაგრამ კანონსაწინააღმდეგო დაზგუფება – საბოლოოდ იქნა უგნებელყოფილი. ქუჩებსაც და მცირე ბიზნესსაც სიცოცხლე დატყო, მოსახლეობა კი თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობს. თუმცა, კანონდამცავი ორგანოების რეფორმა კვლავ დღის წესრიგში დგას. აღამიანთა უფლებების დაცვა გაუმჯობესდა, მაგრამ მეტი უნდა გაკეთდეს პატიმართა უფლებების დაცვის თვალსაზრისით და იმის უზრუნველსაყიფად, რომ პოლიცია კანონის ფარგლებში ასრულებდეს თავის უფნებიერად. უაღრესად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლოების ჩამოყალიბება.

მეოთხე ასპექტი ეროვნული უსაფრთხოებისა არის თავდაცვა. აფხაზეთში დამარცხებამ ლახვარი ჩასცა საქართველოს ჩამოუყალიბებელ შეიარაღებულ ძალებს. მას შემდეგ სამხედრო მშენებლობის პროცესში წინსვლა იქნა მიღწეული. თავიანთი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად შეიარაღებულ ძალებს სჭირდებათ პროცესული მომზადება და დისკიპლინა, ისინი ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ სამოქალაქო ხელისუფლების წინაშე. საქართველო დამარცხებას იღებს რუსეთისგან სამხედრო ტექნიკასა და წვრთნაში. მცირე მასტრაბით საქართველომ სხვა ქვეყნებთანაც დაიწყო თანამშრომლობა. ჩვენ პერსპექტიულად მიგვაჩნია სამხედრო თანამშრომლობა სანაპირო დაცვასა და სხვა სფეროებში. ის მოიცავს სამხედრო ხელისუფლების გზითტებს, რომელთაგან პირველს შარშან აგვისტოში ჰქონდა აღგილი. ჩვენი მიზანია არა შევცვალოთ, არამედ შევავსოთ არსებული კავშირები, რომელიც საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან აქვს. ნებისმიერი ხელშეკრულება სამხედრო ბაზების განლაგებასა თუ სხვა საკითხებზე ნებაყოფლობითი და ურთიერთხელსაყრელი უნდა იყოს.

საქართველო უფრო აქტიურად ებმება ნატოს პროგრამაში „თანამშრომლობა მშეიღობისათვის“. დეკემბერში ხელი მოეწერა პარტნიორობის ინდივიდუალურ პროგრამას. გზა სნილია მეტი ერთობლივი საქმიანობის-თვისაც. სამხედრო დაგეგმარებისა და თავდაცვის სტრატეგიის შემუშავების გარდა პროგრამა „თანამშრომლობა მშეიღობისათვის“ ითვალისწინებს

თანამშრომლობას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სამოქალაქო-სამსედირო ურთიერთობები და სამოქალაქო ზედამხედველობა შეიარაღებულ ძალებზე. ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას შეუძლია გააძლიეროს სამსობრივოების მხარდაჭერა ჯანსაღი პროგრამებისადმი თავდაცვის სფეროში.

ეროვნული უსაფრთხოების მეცნოროების შეცემის შეაღების რეგიონული ურთიერთობები, რაც გადაწყვეტილი ფაქტორია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში. უნარიანი ღიპლომატიის მეშვეობით საქართველომ შეძლო კარგი და გაწონასწორებული ურთიერთობები დაემყარებინა თავის მეზობლებთან - რუსეთსა და თურქეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან. მიუხედავად რუსეთის ლუმში გაკეთებული ზოგიერთი გამონათქვამისა, რუსეთის ლიდერები ეძებენ გზებს აფხაზეთისა და სამხრეთ ისეთის კონფლიქტების მშვიდობინად გადაჭრისათვის. რუსეთს სურს აღადგინოს სავაჭრო და სატრანსპორტო კაშშირები საქართველოსა და სომხეთთან, რომელებიც დაიხსოვ აფხაზეთის ომის გამო. ჯერ-ჯერობით, რუსეთმა ვერ შეძლო სეპარატისტთა ლიდერების დარწმუნება იმაში, რომ ისინი უფრო რეალისტურად მიღომოდენ მოლაპარაკების პროცესს.

საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ქმნიან „საქართველოს მეგობრების“ წგაფის აფხაზეთის საკითხში. სხვა „მეგობრებთან“ ერთად ამერიკა ეძებს გზებს, რათა ახალი იმპულსი მაანიჭოს არსებულ მოლაპარაკებებს, სადაც გაერო რუსეთან ერთად წამყვან როლს თამაშობს. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ხელს უწყობს მოლაპარაკებებს სამხრეთ ისეთის საკითხზე. რუსეთსა და საქართველოს ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება კონფლიქტის გადაჭრის გზების პოვნაზე, მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთის სეპარატისტებმაც კეთილი ნება უნდა გამოიჩინონ. თუ შეთანხმება მიიღწევა, გაადვილდება საერთომორისო ორგანიზაციების აქტიური ჩაბმა მათ რეალიზაციაში. არსებობს ფართო კონსენსუსი, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს არ უნდა არღვევდეს. ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნება ჰუმანიტარულ პრიორიტეტად გვევლინება. მოლაპარაკებების გზით მიღწეული შეთანხმებები ამ პრობლემათა გადაჭრის ყველაზე დიდ იმედს იძლევა.

დასკვნის სახით, თუმცა საქართველოს კვლავ გადასაჭრელი აქვს სეპარატიზმისა და სხვა პრობლემები, ქვეყანის თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. დემოკრატიული წინსვლა, ეკონომიკური რეფორმები, ცხოვრების უფრო უსაფრთხო პირობები, პარლამენტის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება და რეგიონული თანამშრომლობა ხელს უწყობს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებას. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს მიღწეულ პროგრესს, რომე-

ლიც საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის საუკეთესო გარანტია.

ელჩმა დირექტორი ბოდენმა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამდებობრივი ბის ორგანიზაციის მისის მეთაურმა საქართველოში, დამსწრეთ გაუზიარა თავისი მოსახრებები ეთნოკონფლიქტებზე საქართველოში და შათ მიმართებაზე საქართველოს უსაფრთხოების საკითხებთან. ეუთო საქართველოში მუშაობს უკვე 1992 წლის დეკემბრიდან საქართველოს მთავრობის მოწვევით. მისი მთავარი საქმეა დახმარება ეთნო-კონფლიქტებით წარმოქმნილი პრიბლებების გადაწყვეტიში. იგი ძირითადად მუშაობს სამხრეთ ისეთში, სადაც ერთ-ერთია მოლაპარაკებების პრიცესში მონაწილე ხუთი მხარიდან. ამ ხუთ მხარეში შედის საქართველოს ორი კონკრეტული მხარე: საქართველო და სამხრეთ ისეთი, შემდეგ ჩუსეთი, ჩრდილოეთ ისეთი და ეუთო-ს ფასილიტატორები. გაეროს მისიასთან ერთად ეუთო მონაწილეობს აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების საქმეშიც. ამ სემინარზე ბატონმა ბოდენმა წარმოადგინა თავისი პირადი მოსახრებები, როგორც სიტუაციის აკადემიური ანალიზის ნიმუში.

ორი მოუგვარებელი კონფლიქტი ღლევანდელ ღლეს საქართველოს პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს, და მათი გადაწყვეტის გზები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ისეთ დოკუმენტში, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ძალიან მარტივია იმის გაგება, რომ ეს კონფლიქტები საფრთხეს უქმნის საქართველოს ყოვლისმომცველი უშიშროების ინტერესებს, ტერიტორიულ მთლიანობას, მისი არსებობის შესაძლებლობას. კონფლიქტის არსებობა მოქმედებს პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეზე, სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე არა მარტო კონფლიქტის ზონში, არამედ მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე – მაგალითად, ლტოლვილთავის. კონფლიქტები ზღუდავს საქართველოს თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის შესაძლებლობებს. დეტალურად განვიხილოთ ეს საკითხი.

რა სჭირდება ოპერატიულ პოლიტიკას? ჩემი აზრით, ორი რამ: საქართველოს სურს სასწრაფოდ გადაწყვეტის ორივე კონფლიქტი, და მეორე – საქართველოს სჭირდება გრძელვადიანი სტრატეგია მომავალში ასეთი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. რაც შევხება პირველ საკითხს, თუ თქვენ ჩვენგან ელოდებით კონფლიქტების გადაწყვეტის მზა კონცეფციას, მე იმედი უნდა გაგიცრუოთ. როდესაც ორივე კონფლიქტი შეჩერებულია, სამხედრო მხარე აუცილებლად კონტროლის ქვეშ უნდა იყოს მანამ, სანამ არ მოიძებნება კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტა. კონფლიქტი ნებისმიერ დროს შეიძლება კვლავ გაჩაღდეს. მაგალითისათვის მინდა მოვიყვან შემთხვევა, რომელიც გვჭონდა ცხინვალში თებერვლის შუა რიცხვებში, როცა იქ მცირე ხნით ვიყავით. აუცილებელია, რომ ორივე

კონფლიქტის ზონაში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, დაჩქარდეს პოლიტიკური მოღაბარაკების პროცესი. დღესდღეობით კი ორივე შემთხვევაშიც საჭყის სტადიაზე გართ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით – ჩგნილია ეტომბერში. იგი დაიწყო ჯერ ნდობის ატმოსფეროს შექმნით და შემდგომ ეკონომიკური საკითხების განხილვით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბოლოსდაბოლოს დღის წესრიგში დადგა სტატუსის საკითხიც.

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ შექმნილა პოლიტიკური მოწყობის შეთანხმებული დოკუმენტი – იგი მოსკოვში განიხილება. როგორც უკვე მოგახსენეთ, მე არა მაქვს მზა პასუხი, მაგრამ საჭიროა ძლიერი და კონტრასტული პოლიტიკური სვლები საქართველოს მხრიდან, რომელსაც წამყვანი როლი აქვს ორივე ამ კონფლიქტში. მე მეჩვნება, რომ აქ სწორედ ის ადგილია, სადაც შესაძლებელია შემოქმედებითი, კონსტრუქციული მიზანმების გამომშვავება ძირითადი პოლიტიკური პრობლემებისადმი, განსაკუთრებით კონფლიქტებისადმი.

სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწყერიგება ჯერ არ მომხდარა. მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის მეებობრული შეხვედრების მოწყობა, აღმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესება სასაზღვრო ზონის მოსახლეობაზე. მაგრამ ეს არ არის მთავარი. დამატებითი მოთხოვნა არის სამხრეთ ოსეთს მომავალ სტატუსზე ფიქრი საქართველოს კანონების ფარგლებში. ჩვენ ყველანი იმის მომხრე გართ, რომ კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერი ფორმა ასეთი წესით მოხდეს. მე მემინა, რომ ასეთი გამოსავალი მაინც ვერ დაგვაძრუნებს იმ ჰარმონიულ ურთიერთობათა დროში, რომელიც საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებობდა 1989 წლამდე. დღევანდელი სიტუაციის დასაძლევად კი დიდი შემოქმედებითი ძალისხმევა საჭირო.

მე ვიცი, რომ რუსეთი არ არის დიდად დაინტერესებული ამ კონფლიქტის მოგვარებაში. ეს არგუმენტი ყურადღებით მოითხოვს შესწავლას, რაც ნიშნავს იმ როლის გათვალისწინებას, რასაც რუსეთი კვლავ ასრულებს კავკასიში. ჩვენი მხრია, რომ არ არსებობს ამ კონფლიქტების მოგვარების შესაძლებლობა რუსეთის გარეშე.

ზოგიერთი პიროვნება აზვიადებს რუსეთის გავლენას, ისინი რუსეთის პიპრობის ქვეშ იძყოფებიან. საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა გამართლებული იქნება იმდენად, რამდენადაც საქართველოს ექნება საკუთარი მოსაზრებები უსაფრთხოების შესახებ და რუსეთი არ იქნება ყოველი ცალკეული დეტალის განმსაზღვრელი. მეორეს მხრივ, არსებობს ინტერესების მრავალი ფაქტორი, რომელთა უგულვებელყოფა არ შეიძლება. რაც უფრო დაინტერესებული იქნებიან საქართველო და რუსეთი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებით, მით უფრო შესაძლებელი იქნება მშვიდობიანი

განვითარება. უსაფრთხოების პოლიტიკის დონეზე არსებული ინტერესების გათვალისწინება აუცილებელია ქართველი ხელისუფლების მხრიდან.

მეორე ოპერატორი საკითხია, თუ რა არის გრძელვადიანი სტრატეგია. ის გულისხმობს მომავალში ეთნო-კუნთლიქტების თავიდან აცილებას. ჩემი აზრით, და მე ვეთანხმები ჩვენი ამერიკელი კოლეგის აზრს, საქართველომ უნდა შეინარჩუნოს მრავალ-ეთნიკური სახელმწიფო. როგორც იცით, ოთხმოცი ეროვნული უმცირესობა ცხოვრობს ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი მსხვილი ერთობები, როგორიცაა სომხეთი და აზერბაიჯანული. ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ეს ეროვნული უმცირესობები, რომლებიც თავისთავად წარმოადგენს საქართველოს სიმდიდრეს, უნდა შენარჩუნდეს. როგორ უნდა მოხდეს ეს? პასუხი ერთდროულად მარტივია და რთული. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაცია, ყველას მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესში, ეროვნული უმცირესობების უფლებების მკაცრი დაცვა კერძოდ და ადამიანის უფლებათა დაცვა ზოგადად საქართველოს წარმოაჩენს ეროვნებებს შორის მშეიღებიანი თანაარსებობის და კონსტიტუციური წყობის მოღელად. ყველაფერი ეს სტაბილური დემოკრატიის პირობებში გახდება შესაძლებელი. ეს არის ჩემი აზრი ყველზე გრძელვადიანი სტრატეგიის შესახებ, და ეს არ არის ადვილი ამოცანა.

დღესდღობით დემოკრატიული განვითარების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა ამ მიმართულებით შთამბეჭდავია. მე მხედველობაში მაქვს ახალი პროექტი ომბუდსმენის არჩევის შესახებ, ეროვნული უმცირესობების შესახებ კანონის წარმოდგენა შემდეგი საფეხური იქნება. პროცესი გრძელდება და თავის დროშე დღის წესრიგში უნდა დადგეს კანონი საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ, რომლის მიღებაც ვერ მოხერხდა კონსტიტუციასთან ერთად და გადაიდო. ამ კანონის ფარგლებში უნდა გადაწყდეს საქართველოს მოწყობის საკითხი სეპარატისტული რაიონების ჩათვლით. მე მივესალმები ამ საკითხის საერთო-სახალხო განხილვას. მას არ უნდა ჰქონდეს ტაბუ დადებული.

როგორც უკვე იცით, ეუთო და გაერო ჩაბმულები არიან კონფლიქტების გადაწყვეტილები. შეიძლება ზოგი ფიქრობს, რომ ეს საშინაო საქმეებში ჩარჩევაა. მოღით სხვანარიად დავსვათ კითხვა. არსებობს კი დღეს ვიწროდ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა? მე ვფიქრობ რომ არა. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა - ეს არის ურთიერთდამოკიდებულება და კონფლიქტების მოგვარებაზე კოლექტური ზრუნვა. უსაფრთხოება ყველას საქმეა და კონფლიქტი საქართველოში არა მხოლოდ საქართველოს ან ჩეგიონის პრინციპების, არამედ ეხება მთელს კონტინენტს, ევრო-

ჰასა და აზიას. მე ვთვლი, რომ სამართლიანია, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები ვალდებულად თვლიან თავს, ხელი შეუწყონ საქართველოში კონფლიქტების გადაწყვეტას. მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველო თავად არის ეუთოს წევრი.

საქართველოს სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენელთაგან პლენარულ სხდომაზე გამოვიდა გენერალი გადერი ჩხეიძე საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდალი. სახელმწიფო უშიშროების კონცეფციისა და სისტემის ჩამოყალიბება ისეთივე აუცილებელი და მნიშვნელოვანი ატრიბუტია, როგორც კონსტიტუცია და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართვა ამ სისტემაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის ჩამოყალიბებული სახელმწიფო უშიშროების კონცეფცია და სისტემა. მათ ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია გავითვალისწინოთ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მოსახლეობის ეროვნული და სოციალური მდგომარეობა, ეროვნული, რელიგიური, სოციალური და სხვა ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტები. აქ ბევრი იყო ნათევამი ეთნოკონფლიქტებზე და ეს არის ის შედეგი, რომელიც მოპყვა ჯაჭვურ რეაქციას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. იმ პერიოდისათვის არ იყო შემუშავებული დამცველი მექანიზმები, რომლებიც შეაქრებდა ეთნოკონფლიქტებს. ჩვენ ჩშირად ვხმარობთ სიტყვა „სეპარატიზმი“. ეს პრობლემა საერთაშორისო მნიშვნელობისა გახდა. ამიტომ მისასალმებელია, რომ ამ საკითხების განხილვა ასეთ მაღალ დონეზე ტარდება. საერთაშორისო ირგანიზაციების აქტიური ჩართვა დიდად შეუწყობს ხელს ყველა სეპარატისტული მოძრაობის განვიტრალებას და საბოლოო ჯამში მშვიდობის დამყარებას ყველა კონტინენტზე. სეპარატიზმი, როგორც მოვლენა, ყოველთვის ქმნის ვიწრო პოლიტიკურ ხედვებს, ხელს უწყობს პოლიტიკურ ამბიციებსა და ნიადაგს უქმნის ტერორიზმს. საერთაშორისო ტერორიზმი გახდა სერიოზული პრობლემა, რომელიც აწევებს მსოფლიო საზოგადოებას. პოლიტიკური და სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება მოითხოვს მეცნიერულ გათვლას და განგარიშებას, საერთაშორისო ტრადიციების და სხვა ასპექტების გათვალისწინებას. საჭიროა შეიქმნას ისეთი ეროვნული უშიშროების კონცეფცია, რომელიც გაითვალისწინებს ყველა ამ საკითხს. ჩემი აზრით, ამ კონცეფციაში მთავარია ადამიანის უფლების დაცვა. დღეს ეს ძირითადი ბირთვია, საიდანაც იწყება ყველა საკითხის გადაჭრა – იქნება ეს საგარეო – თუ შიდა – პოლიტიკური, თავდაცვის, უშიშროების, დაზვერვის, კონტრდაზვერვის საკითხები თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

ძირითადი პრობლემა, რომელიც დგას საქართველოს წინაშე, ეს არის ახალი სისტემების ჩამოყალიბება. რაც შეეხება, სახელმძღვანელო ინტერესების დაცვას სახელმწიფო საზღვარზე, მინდა მოკლედ ვთქვა, რომ

სახელმწიფო იწყება საზღვრიდან და ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი საზღვრის დაცვისა არის ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვა.

ეროვნული უშიშროების კონცეფციაზე მუშაობის პროცესში უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი სისტემა, რომელიც სხვა საერთაშორისო ინსტრუქტებთან და ორგანიზაციებთან ერთად იმუშავებს იმშე, რომ წინასწარ იქნას თავიდან აცილებული მომავალში შესაძლებელი კონფლიქტები, დაკავშირებული შიდაბოლიტიკურ, საგარეო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახის პრობლემებთან. უნდა განისაზღვროს ქვეყნისა და ერის რეალური პოტენციალი, რაზედაც შეიძლება დაყრდნობა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან მუშაობისას განსაზღვრული უნდა იყოს კონკრეტული, რეალური მიმართულება ურთიერთანაბრუობისა და ინტეგრაციის პროცესისა. მე ვიზიარებ აქ გამომსვლელის სიტყვას, რომ სამწუხაროდ ჯერ კიდევ არსებობს ძველი სტრუქტურიები, რომ ზოგიერთები ვართ რუსეთის სიძლიერის ჰიპნოზის ქვეშ. დემორატიული პროცესები მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს, და ჩვენც ნელ-ნელა ვთავისუფლდებით ამ ჰიპნოზისაგან. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა, საერთაშორისო პრატიკის გათვალისწინება; ალბათ ჩვენს ქვეყანაშიც უნდა ჩამოყალიბდეს სტრუქტურული კვლევითი ცენტრი, რომელიც ხელისუფლებას მიაწოდებს თავის ხედებს, წინადაღებებსა და პროგნოზებს.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგრამარეობიდან გამომდინარე, არა გვაქვს უფლება არ გავითვალისწინოთ რეგიონული საკითხები. მე რამოდენიმე კონფლიქტის მონაწილე ვარ: ავღანეთი, ცხინვალი, აფხაზეთი. მათი სერიოზული ანალიზი და პოლიტიკური შეფასება დღემდე არ გაკეთებულა. ალბათ, ამზეცაა საფიქრალი და ამზეც უნდა ვიმუშაოთ. 5 წელი პატარა დროა, რომ სრულყოფილი სახელმწიფო სტრუქტურა ჩამოყალიბდეს, ამიტომ ასეთი სემინარები რეგულარული უნდა იყოს და მისასალმებელი იქნებოდა აქვე მოგვესმინა კონფლიქტური მხარის აზრი და წინადაღებები. გარკვეული მოსაზრებები საზღვრის დაცვის დეპარტამენტსაც აქვს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არა გვაქვს პრეტენზია, რომ ეს სრულყოფილი და იდეალური გარიანტია. დიდად მაღლობელი ვიქენებოდი, რომ ეს პრეტენზებს ენახათ ეს საბუთი. მათი შენიშვნები და წინადაღებები მისაღები იქნებოდა.

დასასრულ თავმჯდომარემ მაღლობა გადაუხადა პლენარულ სხდომაზე ყველა გამომსვლელს და მონაწილეს და იმედი გამოთქვა, რომ ბატონ ვალერი ჩხეიძის მონაწილეობა კონფერენციაში ხელს შეუწყობს არასამთავრობო მოგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომბას უსაფრთხოების საკითხებში.

ბარეკედი სამუშაო ჯგუფი:

„თაგდაცვა და ხაზივადოება“

თაგძელომარე - აღიქმნანდრე რონდელი



პირველი სიტყვა გადაეცა პანს გეორგ გიგს. ბოლო პარლაულების მანძილზე საუბარი თავდაცვისა და საზოგადოების შესახებ უცხო იყო საქართველოსთვის, რადგან თავდაცვას განაგებდა პარტია და ყოველივე ხალხისაგან საიდუმლოდ ინახებოდა. საბჭოთა საზოგადოება თავდაცვის საკითხებში მხოლოდ მისი დაფინანსებისა და ჯარისკაცებით მზრუნველყოფის მხრივ იყო ჩარეული. ხალხს არავინ უსწინდა, თუ რისთვის იყო განკუთვნილი ყოველივე ეს. თავდაცვაზე მზრუნველ საზოგადოებას სჭირდება დიალოგი, მაგრამ არა ისეთი, როცა ერთი მხარე ამბობს, რისი გაკეთებაა საჭირო, მეორე კი მოჩილად უსმებს და ასრულებს.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებით პარლამენტია ის აღგილი, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება და საზოგადოება ერთმანეთს ხვდება. სწორედ აქ ხედება თავდაცვის საკითხების განხილვა. აქედან ჩამოყალბდა ე.წ. „თეთრი წიგნის“ ტრადიცია. ამ წიგნში განსაზღვრულია ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკისა და შეიარაღებულ ძალთა განვითარების ძირითადი მიმართულებები. ამგვარი კონცეფცია მუშავდება მთავრობის მიერ, შემდეგ კი გადაეცემა განსახილველად პარლამენტს. მაშინ აღწერილია ქვეყნის უსაფრთხოების ვითარება, მოცემულია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ანალიზი. ეს ღოკუმენტი ხსნის რეგიონში არსებულ ძალთა მდგომარეობას, მათთან დამოკიდებულებას, აღწერს საპასუხო ქმედებებს რეგიონული სიტუაციის შესაძლო შეცვლასთან დაკავშირებით. ამაში იგულისხმება საკუთარ შეიარაღებულ ძალთა განვითარების, დაფინანსების, სტრუქტურის, ქცევისა და მოქმედების აღწერა. ეს ღოკუმენტი განიხილება პარლამენტში, მას ეცნობა საზოგადოება. მისით ხელმძღვანელობს მთავრობა, და ამავე დროს იგი გადაისწყება ერთ ან ორ წელიწადში ერთხელ. „თეთრი წიგნის“ ინსტიტუტის მეშვეობით იქმნება ცნობარი როგორც პარლამენტართათვის, ისე აკადემიური თუ უურნალისტური წრეები-სათვის. მისი მეშვეობით თქვენ აცნობთ საზოგადოებას თუ რას წარმოადგენს არმია, რომელშიც მისი წევრები უნდა გაიწვიონ.

საქართველოში შეიარაღებული ძალები, მათი დაფინანსება თუ საერთოშორისო ხელშეკრულებები ჯერ კიდევ ნაკლებადაა საჯარო დისკუსიების საგანი. ამავე დროს, საქართველოს უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მაშინ საერთოშორისო ძალთა მონაწილეობაზე. საქართველოს ხელისუფლებას სჭირდება სახალხო მხარდაჭერა თავდაცვითი ხარჯებისათვის. ეს კი მხოლოდ ანგარიშგებით და საჯაროობითა შესაძლებელი. შესაძლოა, დასაწყისისათვის ქართული „თეთრი წიგნი“ იყოს არასამთავ-

რობო – რადგანაც არსებობს რიგი პრობლემებისა, რომელზედაც დღეს გაამახვილა ყურადღება საქართველოს სასახლეორ ჯარების სარდალმა და – საწყისისათვის ეს შეიძლება იყოს სადისეუსიო წერილი, რომელსაც შემჩნის თუნდაც ის არასამთავრობო ინსტიტუტი, რომელმაც დღეს ჩვენ აქ მოვიწიგა. თანდათან ამ დისკუსიაში შეიძლება ჩაეტანონტი, საზოგადოება, პოლიტიკური თუ აკადემიური ინსტიტუტები. ამით გაიხსნება გზა საზოგადოებასა და თავდაცვაზე მჯელობისათვის.

თავმჯდომარე: დისკუსია დაწყებულია, ყოველ თქვენთაგანს მოგუწოდებ საკუთარი აზრის გამოთქმისაკენ.

ჯანრი კაშია: მე ვფიქრობ, რომ პირველ რიგში უნდა განვიხილოთ საკითხი საზოგადოების შესახებ. საბჭოთა კავშირში საზოგადოება არ არსებობდა. შეორე საკითხი უნდა იყოს უსაფრთხოების სტრუქტურა. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტი და მათი ურთიერთობიმართება. უსაფრთხოების სტრუქტურა ძალიან როული წარმონაქმნია. იგი გულისხმობს პიროვნების უფლებას, სოციალურ და კულტურულ უსაფრთხოებას, სახელმწიფო სახდეგრების უსაფრთხოებას. ამავე დროს, საჭიროა გააზრება, თუ როგორ უნდა იქნას დაცული დღევანდველ გახსნილ მსოფლიოში ამა თუ იმ ქვეყნის უსაფრთხოება. ევროპა კარგ მაგალითს იძლევა იმის გასააზრებლად, თუ რა პრობლემებს წარმოშობს თანამედროვე ეტაპზე სახლვრების გამჭვირვალება.

დენიმე სქემა თუ მოდელი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ ნაწილდება პასუხისმგებლობა. პირველ მუც-დელს მან უწოდა ძალაუფლების შინაგანი ბალანსი. მისი მაგალითზე უდის არაბეთი. აქ მეფე მთავარსარდალია, მეფის ძმებს კი თავინთი ცალკე არმიები აქვთ და არც ერთ მათგანს არ შეუძლია შეწინააღმდეგოს მეორეს. მეორეა დიქტორიული კონტროლი. ეს სისტემა არსებობს სირიასა და ერაყში. აქ მთავარსარდალი, თავდაცვის მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი ერთი კლანიდან ან ქალაქიდან არიან. შემდეგი ტიპია კონსტიტუციური მონარქია. მაშინ მეფე ან დედოფალია მთავარსარდალი. მშვიდობიან ღროს არსებობს გაერთიანებული შტაბი პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, რომლის პოლიტიკას ასრულებს ეროვნული თავდაცვის მინისტრი. მეოთხე მოდელია კონსტიტუციური დიქტატურა. მისი მაგალითია სინგაპური. აქ პრემიერ-მინისტრი სიცოცხლის ბოლომდეა არჩეული და იგი განაგებს შეიარაღებულ ძალებს. მეცნიერებული ტიპი ყველაზე რთულია. მაშინ ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ხელმძღვანელობის და კონტროლის სისტემა შედგება არჩეული პრეზიდენტისაგან და პარლამენტის დანიშნულ მთავრობისაგან. პრეზიდენტი აქ უმაღლესი მთავარსარდალია. ამ სისტემის წარმატებული მაგალითია ფინეთი. ამ შემთხვევაში მოქმედებს მრავალი ფორმალური და არაფორმალური კავშირი.

ბევრ შემთხვევაში მთავარსარდლის თანამდებობა უფრო საპატიო ხა-სიათისაა და მასზე მყოფ პიროვნებას არ გააჩნია რეალური აღმინისტრა-ციული თუ ოპერატორული ძალაუფლება. დემოკრატიულ ქვეყნებში ასეთი მთავარსარდალი ყოველთვის სამოქალაქო პირია. ფინეთში ესაა პრეზიდენტი, ისრაელში – პრემიერ-მინისტრი. თუ პრეზიდენტი უზენაესი მთავარ-სარდალია, მაშინ პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრის, სამხედრო ხელმძღვანელთა და სამხედრო საბჭოს პასუხისმგებლობა მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. მშვიდობიან ღროს ქვეყნების უმრავლესობაში საპო-ლიციო ფუნქციებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ასრულებს. იგი მოიცავს სასაჩვრო ძალებსაც. მაგრამ საგანგებო ვითარებაში საერთო ხელმძღვანე-ლობა თავდაცვის სამინისტროს ხელში გადადის.

უმრავლეს ქვეყანაში თავდაცვის სამინისტრო პირდაპირაა ჩასული ხელმძღვანელობის ჯაჭვში უმაღლეს მთავარსარდალსა და გენერალურ შტაბს შორის. როგორც წესი, უმეტეს ქვეყნებში რეზერვი – იქნება ეს ეროვნუ-ლი გვარდია, ტერიტორიული ჯარი თუ სხვა – იმავე საერთო ხელმძღ-ვანელობას ექვემდებარება. ეს ძალშე მნიშვნელოვანი გარემოებაა, თუმცა, მაგალითად, ბალტიისპირეთში იყო ტენდენცია ეროვნული გვარდიის ცალკე გმირუფისა საკუთარი დამოუკიდებელი ხელმძღვანელობით. უმეტეს სა-ხელმწიფოებში მმართველობა, გაწვევა, წრთვნა და მობილიზაცია ცენტრა-ლიზებულია და არ ექვემდებარება სამხედრო ოლქებს, როგორც ეს საბ-

ჭოთა კაგშირში იყო. ჩემი აზრით, არ უნდა განაცალევოთ მოვალეობები, ფუნქციები ერთის შხრივ მშვიდობანობის, ხოლო მეორეს მხრივ მარი პერიოდების მიხედვით, რაღაც საომარი სიტუაცია წინასწარ ვიტოვდა იგეგმება. აგრეთვე უაზრობაა, თუ ვინმეს ეძლევა ძალაუფლება სათანა-დო პასუხისმგებლობას, კონტროლის მექანიზმთა შემუშავების გარეშე. პა-სუხისმგებლობა კი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს საბიუჯეტო კონტროლს.

ჩემი აზრით, პატარა და ღარიბი ქვეყნისათვის საჭიროა პატარა და ერთიანი გენერალური შტაბი, რომელსაც საომარი მოქმედების ხელმძღვა-ნელობა დაკავშირებული, მათ შორის მომარავება, უნდა მიენდოს თავ-დაცვის სამოქალაქო სამინისტროს. თავდაცვის უწყებები უშუალოდ უნდა აბარებდნენ ანგარიშს უზენაეს მთავარსარდალს. უზენაეს მთავარსარდალს სჭირდება დამოუკიდებელი საინფორმაციო ქსელი, რომელსაც ვერ შებო-ჭავს ბოროკრატიული სისტემა.

უზენაესმა სარდლობამ უნდა აკონტროლოს საბიუჯეტო პროცესი. რო-გორც მშვიდობანობის, ისე ომის პერიოდის საკომისარო ჯაჭვი იღენტური უნდა იყოს. თავდაცვის მინისტრი უნდა იღგეს უზენაეს მთავარსარდალსა და გენერალურ შტაბს შორის.

სისტემის დაგეგმვისას უნდა განასხვავოთ სამხედრო, აღმინისტრაციუ-ლი და სამოქმედო-ოპერატორული ფუნქციები. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში არსებობს ქვეითი გარების სარდალი, რომელიც პასუხისმგებელია სამხედ-რო ნაწილთა ორგანიზებაზე, წვრთვნაზე, ტექნიკის შერჩევზე, მაგრამ არა აქვს შათზე ოპერატორული კონტროლი. ეროვნული უშიშროების საბჭო ან-გარიშს აბარებს უზენაეს მთავარსარდალს. საბჭოს აქვს სამი ფუნქცია: იგი რჩევებს იძლევა პოლიტიკურ, საბიუჯეტო და საგანგრო-სამრეწველო საქმი-ანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. რაც შეეხება შეფასებებს – ეს უზე-ნაესი მთავარსარდლის ფუნქციაა.

პატარა ქვეყნებში საპარტო ძალებს და ფლოტს უნდა შევხედოთ, რო-გორც საბრძოლო ერთეულებს – ქვეითა და არტილერისტთა მსგავსად. მაგრამ ერთი განსხვავებით – ომის დროს მათი შტაბ-ბინა სამოქმედო-ოპერაციული ცენტრი ხდება. ეს სრულიად განსხვავებულია შეერთებული შტატების სისტემისაგან.

საკომისარო შემადგენლობა მცირე უნდა იყოს. თქვენ ვერ მისცემთ თავს უფლებას, რომ გყავდეთ მრავალრიცხოვნი პროფესიული კადრები. ნებისმიერი ოფიცერი, რომელიც სამხედრო სასწავლებელში მუშაობს, ომის დროს საბრძოლო მეთაური შეიძლება იყოს. შესაძლებელია თანამდებობა-თა სხვადასხვაგვარი შეთავსება. მაგალითად, ისრაელის საპარტო ძალებში პირადი შემადგენლობის მეთაური, რომელიც ბრიგადის გენერალია, ომის დროს თავადაა ფ-15-ის პილოტი. სამეთაურო სტრუქტურა უნდა ასახავ-

დეს სახმელეთო ჯარების უპირატესობას. პატარა ქვეყანაში, რომელიც ღიღი საფრთხის წინაშეა, ტაქტიკური კონტროლი ღეცენტრალშებული უნდა იყოს.


ადგილიდან: მე მსურს დავამატო, რომ ახალგზრდა დემოკრატიკული სათვის აუცილებელია სპეციალური კავშირი და კონტროლი საპარლამენტო კომიტეტის შეშვებით. საჭიროა ორი კომიტეტი; თავდაცვას და ბიუჯეტის. თუ ბიუჯეტს განიხილავთ, მთელ შეიარაღებულ ძალებზე იქონიებთ გავლენას. კომიტეტებში ყველა საპარლამენტო პარტია უნდა იყოს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებები უფრო ეფექტური იქნება.

პარტიაში გეორგ გიგა: ექვსი თვეა, რაც საქართველოს აქვს კონსტიტუცია, რომელმაც უკვე განსაზღვრა რიგი საკითხებისა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში. ასე რომ, ალტერნატივების სფერო შესლულულია. მე ველოდი, რომ ქართველი კოლეგები ისაუბრებდნენ ვარიანტებზე, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში არსებობს. ძალთა ბარანსი უნდა ნაწილდებოდეს პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის. ყველა სხვა ინსტიტუტი მათზე უნდა იყოს დამოკიდებული. მაგრამ მე ვიცი, რომ აქ საპარლამენტო კონტროლი სუსტია. მე ვსვამ შეკითხვას, რით უნდა აკონტროლოს პარლამენტმა პრეზიდენტი უსაფრთხოების საკითხებში? შედის მის კომპეტენციები გადაწყვეტილების მიღება რმისა და მშვიდობის გამოცხადებაზე თუ სამხედრო თანამდებობებზე კანდიდატთა დამტკიცება? საქართველოში კონტროლის ეს მექანიზმები ჯერ არ არსებობს. მესამე საკითხია ბიუჯეტი. თავდაცვის ბიუჯეტის პროექტი მეტად დაწვრილებითი უნდა იყოს. მოსკოვის მიერ მართული ქვეყნების გამოცდილება ამ საკითხში ძალზე განსხვავდება დასავლური პრეზიტისაგან. საბჭოთა კავშირში თავდაცვის ბიუჯეტის კონტროლი შესუსტებული იყო.

რაც შეეხდა სადაზვერვო ორგანოების საპარლამენტო კონტროლის, ყოფილ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში ყოყმანობენ, გაკონტროლდეს თუ არა ეს სფერო. მაგრამ თუ საზოგადოება ეგუება დაზვერვის უკონტროლობას, მხოლოდ სახელის შეცვლით არაფერი შეიცვლება. საპარლამენტო კონტროლი სამინისტროს საქმიანობაზეც უნდა ვრცელდებოდეს. საშინაო და საგარეო დაზვერვას ორი დამოკიდებელი უწყება უნდა კურირებდეს. ამ სფეროში საპარლამენტო კონტროლი უპირველეს ყოვლისა ნიშნავს უფლებას, გაკონტროლდეს დაზვერვის ის ნაბიჯები, რომლებიც მოქალაქეთა ზედამხადველობას გვლისხმობს.

ფილ გასილევესკა: უმეტეს დემოკრატიულ ქვეყანაში შეიარაღებულ ძალთა მართვა და კონტროლი ნაწილდება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. ფედერალურ სისტემაში ფუნქციები მკაცრადაა გამიჭული პრეზიდენტსა და კონგრესს შორის. საპარლამენტო სის-

მართვის სისტემა მშვიდობიან დროს
ქვეყანა X
დიაგრამა I



ტემის პირობებში ფუნქციების გამიჯვნა ნაკლებად მკაფიოა, მაგრამ, როგორც წესი, გამარჯვებული პარტიისაგან არჩეული პრემიერ-მინისტრი უმრავლესობა მართვისა და კონტროლის საკანონმდებლო ნაწილს.

როგორც წესი, ძირითადი პასუხისმგებლობა მართვასა და კონტროლზე აკისრია მთავარსარდალს. იგი ნიშავს თავდაცვის მინისტრს, მთავარ სამოქალაქო მრჩევლებს, შეიარაღებული ძალების ყველა ოფიცერს. იგი პასუხისმგებელია სამხედრო და უსაფრთხოების სტრატეგიის მიღებაზე, სამხედროთათვის გეზის მიცემაზე. იგია პასუხისმგებელი შესაბამისი ბიუჯეტის შექმნაზეც. და ბოლოს, აღმასრულებელი ხელისუფალი, როგორც წესი, აცხადებს ომს ან საგანგებო მდგომარეობას. იგი იძლევა განკარგულებას შეიარაღებულ ძალთა ამოქმედებაზე.


საკანონმდებლო ხელისუფლების მართვისა და კონტროლის ფუნქციები ზედამხედველობითი და ფინანსურია. პარლამენტი ადგენს სამხედრო ხარჯებს. იგი აკონტროლებს იმასაც, თუ როგორ იხარჯება თავდაცვზე გამოყოფილი თანხა. იგი იძებს კორუფციის შემთხვევებს არმიში. ბევრ ქვეყანაში პარლამენტი აგრეთვე ამტკიცებს სამხედრო თანამდებობებზე დანაშნულ კანდიდატებს. პარლამენტი იღებს კანონებს და წესებს შეიარაღებულ ძალთა მართვასა თუ დისკიპლინაზე. დაბოლოს, პარლამენტს მოეთხოვება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული ომის გამოცხადების აქტის დამტკიცება.

როგორც წესი, ხელისუფლების ორივე რგოლის ფუნქცია კონსტიტუციაშია ახსნილი.

შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის უფრო კონკრეტული, ყოველდღიური ფუნქციები აკისრია თავდაცვის სამინისტროს. თავდაცვის სამინისტრო აძლევს რჩევებს აღმასრულებელ ხელისუფლებას ეროვნული სამხედრო სტრატეგიის თაობაზე. იგი უზავნის პარლამენტს ფინანსურ მოთხოვნებს ამ სტრატეგიის შესასრულებლად. შემდეგ იგი იღებს სტრატეგიასაც და ფონდებსაც თავად ხელისუფალთაგან და ზრუნავს მათს განხორციელება-ათვისებაზე. თავდაცვის სამინისტრო ზედამხედველობას უწევს შეიარაღებულ ძალთა სხვადასხვა სამსახურს. იგი განსაზღვრავს გაწვევის, ანაზღაურების, წროვნის, მომარაგების, კომუნიკაციის, სამედიცინო მომსახურების, იარაღის შექნის, დისკიპლინის შენარჩუნების, პერსონალის დათხოვნის საერთო პროცედურებს. იგი შეიძლება თავად აკონტროლებდეს საწვავის, საკედების თუ სამხედრო ტანსაცმლის შექნას.

ცალკეული სამხედრო სამსახურები, როგორიცაა არმია, ფლოტი, ავიაცია და საჰაერო თავდაცვა ასრულებენ მართვისა და კონტროლის იმ ფუნქციებს, რომელიც უშუალოდ საბრძოლო ამოცანებს უკავშირდება. ისინი ამ ფუნქციებს ახორციელებენ როგორც აღმინისტრაციულ, ისე საოპე-

გაროვის სისტემა ომის დროს
ქვეყნა X
დიაგრამა II





რაციო მართვის ჯაჭვთა მეშვეობით.

ცალკეულ რაზმთა ღრნებზე მართვა და კონტროლი გამარტინისტურის და ნაწილდება უფროს და უმცროს ოფიციალებს, ხოლო შემდეგ უცრუანტებსა და ჯარისკაცებს შორის.

ასეთია სქემატური სურათი მართვისა და კონტროლის სისტემისა უმეტეს დემოკრატიულ ქვეყნებში.

სამხედროები ძირითადად მშვიდობიან ღროში ცხოვრობენ და ზემოთ-აღწერილი სტრუქტურაც მშვიდობის პერიოდს შეესაბამება. როგორც წესი, ეს სტრუქტურა ცალმხრივია, ვერტიკალურია. გადაწყვეტილება მოდის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებიდან რიგით ჯარისკაცებამდე.

აյ მოტანილ დიაგრამათაგან პირველი ასახავს მართვის სტრუქტურას მშვიდობიანობის ღროს. იგი დაახლოებით ისეთივეა, როგორიც დღეს საქართველოში არსებობს. თუმცა ეს სქემა არაა კონკრეტული ქვეყნის რეალობის ამსახველი.


მაგრამ ომის ღროს უფრო განსხვავებული, საპასუხისმგებლო და მობილური მართვის სტრუქტურა საჭირო. მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შეიძლება მშვიდობიანობის პერიოდის მართვის სტრუქტურის გადმოტანა ომის პერიოდში, არის ის, რომ საველე მართვა მიახლოებული უნდა იყოს ბრძოლის ველთან. იგი მობილური უნდა იყოს. მან უნდა შეძლოს სხვადასხვა აღჭურვილობის, რაზმის, ჯარის სხვადასხვა სახეობათა თანამოქმედების უზრუნველყოფა. ამ სტრუქტურას მეტად სწრაფი მოქმედება უნდა შეეძლოს. და მაინც, იგი უნდა ინარჩუნებდეს მართვის ვერტიკალურ სტრუქტურას და უზრუნველყოფდეს სამოქალაქო ხელისუფლების პირველობას. სამოქალაქო ხელმძღვანელობამ უნდა დასახოს ომის მზნები და სტრატეგია, ხოლო შემდეგ გადასცეს ძალაუფლება საველე მეთაურებს ამ სტრატეგიის განსახორციელებლად. საველე მეთაურებს სჭირდებათ განსხვავებული მართვისა და კონტროლის სტრუქტურა. მათ არ შეუძლიათ მოქმედება ცალკეულ სამსახურთა და თავდაცვის სამინისტროს მეშვეობით.

მშვიდობის ღროს ძირითადი მმართველი ორგანოები დედაქალაქშია და დაცილებულია ბრძოლის ველს. ამასთან, ომის ღროს ჩნდება ახალი მოთხოვნილებები, რასაც ვერ დააკმაყოფილებს მშვიდობის ღროის სტრუქტურა. მაგრამ მშვიდობისღროინდელმა სტრუქტურებმა, კერძოდ თავდაცვის სამინისტრო, ომის ღროსაც უნდა გააგრძელონ მოქმედება. ხალხი კვლავ გაწევული, გაწრთვნილი უნდა იქნას. მათ კვლავ უნდა გადაეხადოს ჯამაგირი - თუნდაც ომი მიმდინარეობდეს.

ამგვარად, ომის ღროს ორი განცალკევებული, მაგრამ ერთდროულად მოქმედი მართვის სისტემაა საჭირო. ერთი ზრუნავს ბრძოლაზე და მორე - სამხედრო უზრუნველყოფაზე. სამშვიდობო სტრუქტურას უნდა შეეძლოს

დიაგრამა III

საგანგებო ვითარებათა მართვის ეროვნული ჯგუფი



ხელი შეუწყოს საომარი დროის სტრუქტურას.

საველე შეთაურებს ცალკე შტაბები სჭირდებათ, რათა დაგეგმული გვისი მოქმედება და დაუკავშირდნენ როგორც საკუთარ რაზებს, ისე და დაქალაქში განლაგებულ სამშვიდობო დროის სტრუქტურებს.

როგორც ითქვა, ომის დროს საჭიროა კონტროლის რაიმე მექანიზმი – იქნება ეს გენერალური შტაბი თუ საველე სარდლობა. ის, რაც მეორე სქემაზე გამოსახული, არის მართვის სტრუქტურა მის დროს. იგი უფრო წააგავს ამერიკულ მოდელს, სადაც საოპერაციო ძალები სხვადასხვა საველე სარდლობას ემორჩილება. საველე სარდლობას გადაეცემა ტაქტიკური შენაერობი ამა თუ იმ ჯარის სახეობებიდან. მათზე სრულ საოპერაციო კონტროლს მის დროს ახორციელებს საველე სარდალი – მის შტაბში მყოფი საჯარისო სახეობათა წარმომადგენლების მშვევობით. ეს შტაბი ეხმარება მას მშვიდობისღრივი სტრუქტურებთან (თავდაცვის სამინისტროსთან) ურთიერთობაში.


ამ საომარ თუ სამშვიდობო დროის სტრუქტურათა დაკომპლექტება ღილი ქვეყნებისთვისაც პრობლემაა. ზოგიერთ ქვეყნში საომარ საკიბანდო სტრუქტურათა ბირთვს მშვიდობის დროსაც ინარჩუნებენ, ხოლო მის შემთხვევაში მათ სამშვიდობო სტრუქტურებსა და რეზერვიდან ავსებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობები პროფესიონალებით კომპლექტდება. მისი დროს რიგი ადამიანებისა თუ საქმეს ერთად აკეთებს – ითავსებს საქმეს, რომელსაც არ აკეთებდნენ მშვიდობიანობის დროს. ზოგ ქვეყანაში კი საომარ შტატებს ავსებენ სარჩევო ოფიციალებით.

ნებისმიერ შეთხვევაში, მართვის მოისღრივინდელ სტრუქტურას ორი თავისებურება უნდა ჰქონდეს. ჯერ ერთი, იგი უნდა ექვემდებარებოდეს სამოქალაქო კონტროლს, ასრულებდეს მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილებებს. მეორე – იგი მზად უნდა იყოს სამოქალაქო პირებთან თანამშრომლობისათვის. სულერთია, გენერალური შტაბის თუ საველე სარდლობის სისტემას იყენებთ, ეს ორი მოთხოვნა ძალაში რჩება.

და ბოლოს, განვიხილოთ კრიზისის მენეჯმენტისა და კონტროლის სტრუქტურა. იგი ემსახურება ტერორიზმთან ბრძოლას. ტერორიზმის პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, ეს სტრუქტურა მთავრობის უმაღლეს დონეებს უნდა მოიცავდეს. მისი მოქმედება წინასწარ და სინამდვილესთან მიახლოებულ ვითარებაში უნდა იყოს გამოცდილი.

კრიზისების მენეჯმენტის ეროვნულ გუნდში უნდა შედიოდნენ პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, პოლიციისა და დაზვერვის წარმომადგენლები. ამ გუნდს ადმინისტრაციული და საკომუნიკაციო პრესონალის მცირე შტატი უნდა ჰყავდეს. როგორც ხედავთ, მართვის ეს ჯაჭვი რამდენადმე განსხვავდება მის პერიოდის მართვის სტრუქტურისაგან. მასში მრავალი სამოქალაქო სტრუქ-

დიაგრამა IV





ტურაცაა ჩართული.

კრზისის ღრუს მართვის ეს ცენტრი ინციდენტების მართვის მუდმივ მივმოქმედ გუნდთან ერთად იმუშავებს. ამ უკანასკნელს უშუალოდ აქვთ საქმე ტერორისტულ აქტთან. ინციდენტთა მართვის გუნდს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი, რომელიც გააკონტროლებს ადგილობრივ პოლიციას, სახანძრო სამსახურებს, სამედიცინო სამსახურებს, ანტიტერორისტულ ეროვნულ სამსახურს და მედიცინულ საქმეების ეროვნულ სამსახურს. მესამე სქემაზე გამოსახულია ონიშნული სტრუქტურა.

ინციდენტების მართვის გუნდი მართვისა და კონტროლის სტანდარტულ პროცედურებს უნდა ემორჩილებოდეს. ისინი შეიძლება მეტად რთულიც იყოს. შეხედეთ მეოთხე სქემას. მასში მუდმივად უნდა იყოს ჩართული ყველა მონაწილე უწყება. როცა ტერორისტული აქტი ხდება, დაგეგმვის დრო მეტად მცირეა. მოსამზადებელი სამუშაოების 90% წინასწარ უნდა იყოს შესრულებული.

ახლადწარმოქმნილ დემოკრატიებს მრავალი პრობლემა აქვს. განსაკუთრებით ეს ეხება იმას, თუ როგორ წარიმართება მთავრობის მიერ ძალის გამოყენება. თუ არსებობს მართვისა და კონტროლის მუდმივი და ჩამოყალიბებული სისტემა, სამოქალაქო ხელისუფლებას შეეძლება გააკონტროლოს შეიარაღებულ ძალთა გამოყენება. თუ არადა, ომი და ტერორიზმი იქნება მთავრობის მაკონტროლებელი.

დაგოთ ცინცაძემ გამოხატა საქართველოს უშიშროების სამინისტროს თვალსაზრისი. სამინისტრო აერთიანებს როგორც დაზვერვას, ისე კონტრდაზვერვას. იგი ჭერ შორსაა მსოფლიო სტანდარტებისაგან, რომელიც ბატონმა ვიქმა დაახასიათა. ამ ეტაპზე პრეზიდენტის დავალებით სამინისტრო ებრძვის ორგანიზებულ დანაშაულსაც, რაც უშიშროების სამსახურისათვის არასპეციფიკურია.

რაც შეეხება სამოქალაქო კონტროლს, მას ახორციელებენ პრეზიდენტი და პარლამენტი. გარდა ამისა, არსებობს უშიშროების საბჭო, პროკურატურა, სასამართლო. თავის თვეურატიულ საქმიანობაში, მაგალითად, სატელეფონო საუბრების მოსმენისას, უშიშროების სამსახური იდამინის უფლებების დამცველი კანონებით ხელმძღვანელობს.

ამჟამად ეროვნული უშიშროების საბჭოთან ერთად ვმუშაობთ ტერორიზმთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამზე. ვთვალისწინებთ დასავლეთის გამოცდილებას. მომავალში სრულად დაუბრუნდებით სადაზვერვო ფუნქციის შესრულებას. სამინისტრო კვლავ გარდაქმნება „საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურად“, როგორც ეს 1992-93.წლებში იყო. ახდანდელი სტრუქტურა კი ოპტიმალურია დემოკრატიისაკენ მიმავალი ქვეყნისათვის.

თავმჯდომარე: რამდენად რეალურია საპარლამენტო კონტროლი უშიშროების სამინისტროზე?

ცინცაძე: პარლამენტის თავდაცვის კომიტეტმა განიხილა ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მომზადებული კანონი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ. ასეთი რამ პირველად ხდება საქართველოს მატორა აში. ყველა დებულება პარლამენტსა და უშიშროების საბჭოში გადის ექსპერტიზას. ერთადერთი, რაზეც პარლამენტს ხელი არ მიუწვდება, აგნ-ტურასთან დაკავშირებული საკითხებია. დაუინიბით მოთხოვნის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ამ საკითხზეც მიიღონ ჩვენგან ინფორმაცია, მაგრამ მეტად მწირი.

გიგი: მე ვერ გავირკვივ თქვენი სამსახურის ფუნქციებში. თქვენ მარტო სამინიან საქმეებით ხართ დაკავებული თუ საგარეო დაზვერვაც გვევალებათ? როგორ თანამშრომლობთ არმიის დაზვერვასთან? რაც შეეხება ტერორიზმს, თქვენ მარტო ინფორმაციას აგროვებთ, თუ ალკვეთაც თქვენ გვევალებათ? ეს სომ პოლიციის და შინაგანი ჯარის ფუნქციაა.

ცინცაძე: დამოუკიდებელი სადაზვერვო სამსახური არ არსებობს. არის უშიშროების სამინისტრო. მასში შედის დაზვერვაც და კონტრლაზვერვაც. დაზვერვის მიმართულებებზე საუბარი ჩემი მხრიდან უხერხებული იქნებოდა. რაც შეეხება ტერორიზმთან ბრძოლას, კანონი ამ საქმეს ჩვენ გვავალებს. ეს ძნელი გასაგებია, რადგან ჩვენი სამართლებრივი სისტემა განსხვავებულია. ტერორიზმთან საბრძოლველად გვყავს საკმაოდ ძლიერი ქვედანაყოფები. ისინი არავის ჩამოუკარდება და მასშიაბით. ამაში შეერთებულმა შტატებმაც დიდი როლი ითამაშა.

არმიის დაზვერვისგან ჩვენ ინფორმაციას ვიღებთ. მას უკეთდება ანალიზი და მიეწოდება პრეზიდენტს.

გიგი: ვინ იძლევა კერძო საუბრების მოსმენის უფლებას?

ცინცაძე: ეს ხდება პროკურორის სანქციით. არის სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სამქმარეო საქმიანობას. თუ მოსმენის პროცესში ირკვევა, რომ საუბარს არა აქვს კავშირი გამოსაკვლევ საქმესთან, ჩაწერა წყდება. პირადი ცხოვრების ჯეტალების გამომჟღავნებას არასოდეს ჰქონია აღგილი. ეს დაფიქსირებულია კანონში.

კანონის თანახმად დიდი დახმარება ეწევა იმ აღამიანებს, ვინც თავის მხრივ დახმარებას აღმოუჩენენ უშიშროების სისტემას. მაგრამ საზოგადოების შეგნება არააღექვატურია. აღამიანებმა არ იციან, რომ სუკის დახმარება მოქალაქის ვალია. რა თქმა უნდა, მე აქ არ ვგულისხმობ მთვრალი მეზობლის დაზეზღებას.

ინაგლი ხართოშვილი: რამდენად ეფექტურია უშიშროების სისტემის დაყოფა კანტრლაზვერვად და დაზვერვად?

ცინცაძე: ასეთი დაყოფა დღეს ვერ გაამართლებს. მაგალითი რუსეთია, სადაც ამ ორი სფეროს დაცილებით დაირღვა ცენტრალიზაცია.

თაგმადომარე: დაყოფა ძვირია და იმიტომ არ ვარგა, თუ საერთოდ



მინისტრის მიერ განკუთხული თავდაცვის სამინისტრო

ცინფაძე: ძვირიცაა და კადრების პრობლემასაც წარმოშობს მთავრობის მიერანაში ორი სამსახურის შექმნა-დაკომპლექტება მნელია.

გიგა: თუ უშიშროების სამსახურის საბჭოურ სტრუქტურებს შეინარჩუნებთ, ხალხს თქვენი ნდობა ვერ ექნება. თუ გინდათ ნდობა – ყველაფერი ღია უნდა იყოს. ამასთან, უშიშროების სამსახურს არ უნდა ჰქონდეს სადამსჯელო ფუნქცია. ეს ყველაზე მთავარია. დასავლეთ ევროპული მიდგომა ნაკლებად განსხვავდება ამერიკულისაგან. ოპერატორული დაზვერვა სამხედრო სტრუქტურის, გენერალური შტაბის პრეზროგატივაა, თუმცა გერმანიაში გენერალური შტაბი არ არსებობს, იმის გამოცხადება კი პარლამენტის საქმეა.

ხართოშვილი: შეერთებული შტატების სისტემაში თავდაცვის სამინისტროს ეკისრება აღმინისტრაციული ფუნქციები – წრთვნა, მომარაგება და ა. შ. აშშ-მ უარი თქვა გენშტაბზე, რაც შეეხება შტაბების უფროსთა გაერთიანებას, ის მართვას კი არ ახორციელებს, არამედ რეკომენდაციებს აძლევს პრეზიდენტს. სამოქალაქო კონტროლი ამგარადაც ხორციელდება. მაგრამ ეს სისტემა ხარგიანია, ამიტომ ჩვენთვის გენერალური შტაბი ჭობია. რა დამცავი მექანიზმები უნდა არსებობდეს გენშტაბისაგან?

მეორე საკითხია იმის გამოცხადება. აშშ-ში პრეზიდენტს 60 დღელამის მანძილზე აქვს იმის წარმოების უფლება. განსაკუთრებულ შემთხვევებში კიდევ 30 დღე ემატება. ამის შემდეგ კონგრესის სანქციაა აუცილებელი. ჩვენთვის ეს დიდი უფლუნებაა, რადგან პატარა ქვეყანა ვართ. ისრაელში იმის გამოცხადების უფლება აქვს არა პრეზიდენტს, არამედ თავდაცვის საბჭოს. როგორი იქნება თქვენი აზრი?

ბატონმა ბრაუნერმა თქვა, რომ აქცენტი ქვეით ჭარბე უნდა გაკეთდეს. ეს გასაგებია, მაგრამ აღმდენად ეფექტურია ასეთი რამ? კორეეს იმმა აჩვენა, თუ როგორ გაანალიზეს ჩრდილოეთ კორეეს ტანკებმა სამხედროთა ქვეითები სამი ღლის მანძილზე. ტანკების ეფექტურობა მშარაა, თუმცა დღეს შეიძლება ტანკსაწინააღმდეგო ტექნიკა უკეთესი იყოს.

ბრაუნერი: სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა მიღდომაა თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბისაღმი. ზოგან ორივე ერთად არსებობს. ერთ დეპარტამენტში სამოქალაქო ხელმძღვანელია, მეორეში – სამხედრო. ზოგან შტაბის უფროსი და სამინისტროს გენერალური დარექტორი უპატაკებენ თავდაცვის მინისტრს. ფართო განზოგადება შეუძლებელია. ქვეყანაში, რომელიც სამოქალაქო კონტროლს ანიჭებს პრიორიტეტს, ეს სტრუქტურები ინტეგრირებულია. ზოგ ქვეყანაში ორივე სტრუქტურა ინაწილებს თავდაცვაზე პასუხისმგებლობას. მეომარ ქვეყნებში გენერალური შტაბი და თავდაცვის სამინისტრო ცალ-ცალკეა. ორივე სისტემა მოშაობს.

რაც შეეხება აქ დასმულ შეკითხვას ტანკების როლზე, ორი ერთ-სიტყვანი არგუმენტით ვუპასუხებ. ეს არგუმენტებია: ა) მთები, ბ) კიბები.

თავმჯდომარე: ჩვენ შემოგვიერთდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარების თავმჯდომარე ბატონი რევაზ აღაშვილის მინისტრების მინისტრობა რომაგად საინტერესოა; როგორც უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა თქვა, თავდაცვის კომიტეტი რეალურად აკონტროლებს უშიშროებას. ამასთან, კომიტეტს ეხება კანონმდებლობის შემუშავება თავდაცვის სფეროში.

რევაზ ადამია: გუშინ ჩვენ სამოქალაქო კონტროლის მშვენიერი სენატი გავაკეთოთ. მხედველობში მაქვს ის, რომ პირველ სართულზე მიძინიარებდა ჩვენი სემინარი, მეორე სართულზე გრაჩივი და ნალიბაიძე აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, ხოლო მესამეზე – ისევ სემინარი! ასე რომ კონტროლის სხვადასხვა მექანიზმები არსებობს.

ახლა კი სერიოზულად. გადაჭარბებული იქნებოდა იმის თქმა, რომ ჩვენი კომიტეტი აკონტროლებს ძალისმიერ სტრუქტურებს, თუმცა ჩვენ ამას ვცდილობთ. ამ ბოლო ღრმს კოორდინაცია აღმასრულებელ ხელი-სუფლებასთან სულ უფრო უმჯობესდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წინააღმდეგობები არა გვაქვს. რაც შეეხება კანონმდებლობას, აქ უზარმაზარი სამუშაო გვიდევს წინ. დასაწერია კანონები, ჩასატარებელია ინსტიტუციონალური სამუშაო. საბჭოური მემკვიდრეობა აბსოლუტურადაა შესაცვლელი. აქ საუბარი იყო დაზვერვაზე. მე ვიზიარებ ელჩი ვიკის პათოსს; თუ ჩვენ ვშევებთ დემოკრატიულ ქვეყანას, არ შეიძლება დაზვერვა ერთიანი სტრუქტურა იყოს. მაგრამ აქ გააჩრებული მუშაობაა საჭირო. ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება: 1991 წელს სუკ-ი დაიშალა და დანაწილდა, მაგრამ ამან უშიშროების პარალიზმება გამოიწვია. შეიქმნა მრავალი სპეც-სამსახური, რომლეთაც ერთმანეთში არავთარი თანამშრომლობა არ ჰქონდათ. მათი ხელახალი გაერთიანება კონტროლის გაუმჯობესების სურვილითაც იყო ნაკარნახვი. შეიძლება ასეთი კონტროლი ცუდია, არასრულყოფილი, მაგრამ მაინც კონტროლია.

რეალურად ჩვენთან საქმეს წყვეტინ არა ინსტიტუტები, არამედ პიროვნებები. ეს სახელმწიფო სტრუქტურის ამორფულობის ბრალია. აქ თავის როლს თამაშობს საბჭოური მემკვიდრეობა, აღამიანები ქველებურად არიან აღზრდილნი. დაზვერვის გამიზენზე დაზვერვად და კონტრდაზვერვად კი პრეზიდენტის ღავალებით რეალური მუშაობაა დაწყებული. რაკი ჩვენ ამერიკული ტიპის კონსტიტუცია გვაქვს, შესაბამისად ეს სტრუქტურებიც აღბათ ამერიკულ ყაიდზე იქნება აგებული.

რაც შეეხება მართვის სტრუქტურას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში: მინდა დავეთანხმო პატივცემულ კოლეგას, ვინც ორი

სიტყვით გამოთქვა ის განმაპირობებელი ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს სამხედრო კონცეფციას. სამწუხაროდ, სიტუაცია ისეთია, რომ ამ ორი ფაქტორიდან ერთი გვაქვს, მეორე კი არა. მოწებული გვაქვს, ფული - არა. ეს ორი გარემოებაც არასაკმარისადაა გააჩნიავს ლი. რა თქმა უნდა, ფულის არქონას ბევრი ფიქრი არ სჭირდება, მაგრამ მთების მნიშვნელობა კი ნამდვილად გასაზრდებელია. ჩვენ კი ჯერ-ჯერობით გვაწენებთ ტიპიურ საბჭოურ არმიას. მასესნებება ქველი ანგაღოტი; ჩინეთის გენერალურ შტაბში საბრძოლო მოქმედებას ამზადებენ. უმაღლესი მხედართმთავარი გეგმას აწყობს და ამბობს, რომ მარჯვენა ფლანგზე იდგება პირველი არმია 30 მილიონი კაცით. მარცხნაზე - მეორე არმია 45 მილიონი კაცით, ცენტრში - მესამე არმია 70 მილიონი კაცით, მათ უკან კი ტანკები წამოვლენ. ვიღაც კითხულობს - ყველა ტანკი ერთად? არა, - პასუხობს მთავარსარდალი, - ჯერ ერთი და მერე მეორე. ჩვენ ჩინელებისავით დიდი ადამიანური რესურსი არ გვაქვს, მაგრამ ჩვენი სატანკო რესურსი ამ ანგაღოტში ასახულ ვითარებას ჰგავს.

მეოთხე ჯგუფი:

„ერთგული უსაფრთხოების პრიმდღებები რეგიონებდან და საერთაშორისო კონტაქტში. ეთნიკურ-ტერიტორიალური კონფლიქტები და უსაფრთხოების რეგიონები საქართველოში“
თაგმადომარე - რეგაზ გამართვადე

დისკუსია დაიწყო იღლიანე ხაინდრაფას გამოსვლით. მან ეროვნული უსაფრთხოების პრიმდღებაში ორი ძირითადი ასპექტი გამოყო: 1) საკუთრივ სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობა, 2) სახელმწიფო უშიშროების საერთაშორისო გარანტიები. ღლევანდელ მსოფლიოში მეორე ასპექტს ხშირად უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, თუმცა არც პირველის უგულებელყოფა შეიძლება. საერთაშორისო მექანიზმები ჯერ კიდევ საკმაოდ ინერციულია, მათ ამოქმედებას დრო სჭირდება და ამ დროის განმავლობაში ქვეყნას უნდა შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენება.

ჩაც შეეხება პირველ ასპექტს, კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ (მუხლი 2) ამბობს: „საქართველო თავის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს მთელ თავის მიწა-წყალზე იცავს საკუთარი ძალებით; საქართველო თავისი სამხედრო ძალებით არ უნდა ჩამორჩებოდეს ტერიტორიითა და ადამიანთა რესურსებით დაახლოებით მის ტოლ არც ერთ ქვეყნას; საქართველოს სამხედრო ძალებს უნდა შეეძლოთ მტრის წინსვლის შეჩერება საქართველოს საზღვრებთან, აგ-

რეთვე საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ პუნქტზე მტრის სარაცხტო, საავაციო და საარტილერიო თავდასხმის მოგერიება; საქართველოს შეიარაღებულ ძალებს უნდა შეეძლოთ ნებისმიერი აგრესორისათვის სამართლის დარტყმის მიყენება.“ ამ ციტატიდან ჩანს, რომ გარკვეული, თუმცა არასრული მონაბაზი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეულისა მის პირველ ასპექტთან დაკავშირებით არსებობს. არსებობს და იმავე დროს არც არსებობს – და არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ეს ამოცანა ვერ გადაჭრეს. იმავე კანონის პირველ მუხლში წერია, რომ საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, არ აწარმოოს, არ შეინახოს და არ გაატაროს თავის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღი და მასობრივი განადგურების საშუალებები. ხოლო მეორე მუხლის ა) პუნქტში დაფიქსირებულია, რომ საქართველო აქტიური ნეიტრალიტეტის ქვეყანაა. მაგრამ განა შეიძლება ლაპარაკი ქვეყნის ნეიტრალიტეტზე, როდესაც პრეზიდენტი ხელს აწერს ხელშეკრულებას საქართველოს ტერიტორიიზე სხვა, არცთუ ნეიტრალური ქვეყნის სამხედრო ბაზების 25 წლით განლაგების შესახებ. მით უმეტეს მათინ, როდესაც ვერ ვფლობთ ამ ბაზებზე სხვადასხვა სახის იარაღის, მათ შორის მასობრივი განადგურების საშუალებების განლაგებასა და შენახვაზე კონტროლის ქმედით მექანიზმებს.

საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას, რომელსაც მე წარმოვადგენ, ნატო-სთან ურთიერთობების განვითარება და საბოლოოდ ამ კავშირში ინტეგრაცია საქართველოს სტრატეგიულ მიზნად ესახება. მაგრამ ამ პერიოდში საერთაშორისო ვითარებიდან და საქართველოს შიდა პოლიტიკური მდგრამარეობიდან გამომდინარე, აქტიური ნეიტრალიტეტის გამოცხადება შესაძლოა პირველი და აუცილებელი ნაბიჯი იყოს რუსეთის სამხედრო პოლიტიკური სივრციდან თავის დაღწევის გზაზე. ასეთი პოზიცია თავსდებოდა ბატონი ზბიგნევ ბეჭინისკის უსაფრთხოების სარტყელის კონცეულიაშიც. ამ კურსს ხორციელება ესაჭიროებოდა, რაც სამწუხაროდ საქართველოს ხელისუფლებამ არ ან ვერ გააკეთა, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა რამოღნიმეჯრ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ჯარის საქართველოდან გაყვანის თაობაზე. ამიტომაც ჩვენი უსაფრთხოების სისტემა დღესაც უკეთ ვერაა გადაწყვეტილი, ვიდრე 1992 წელს. გავიხსნოთ, თუ როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები.

1993 წელს სახელმწიფოს მეთაურმა ერთპიროვნულად მიიღო გააღწყვეტილება საქართველოს დსთ-ში შესვლის თაობაზე. შემდეგ რუსეთის სამხედრო ფორმირებებს მიენიჭათ აფხაზეთში საბჭიდობო ჯარების სტატუსი. საბოლოოდ კი თავდაცვის მინისტრთა დონეზე პარაფირება გაუკეთდა ხელშეკრულებას საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების ოცდასუთი წლით განლაგების შესახებ. მოგვიანებით ხელშეკ-

რულებას სახელმწიფოს მეთაურმაც მოაწერა ხელი. ამდენად, საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის გვეტირისა რუსეთის სამხედროულობრივ კურ სივრცეში რეინტეგრაციის მიმართულება მიიღო, რაც ჩვენი პირის საქართველოს სტრატეგიული ინტერესების საზიანო იყო. ყოველი შემთხვევაში არგუმენტაცია ბათილდება გამოცდილებით, რომელიც ადასტურებს, რომ იმედი რუსეთის მეშვეობით მის მიერვე შექმნილი ან ინსპირირებული პრობლემების მოგარებისა ფუჭია. ასეთ პოლიტიკას უძლურების ან თავის მოტყუების პოლიტიკას თუ ვუწოდებთ.

თუ როგორ განხორციელდება დსტ-ში ე.წ. კოლეგიური უშიშროება, კარგად ჩანს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის და თუ გნებავთ, თავად რუსეთის მაგალითზე. რაც მთავარია, არ არსებობს უკეთესობის პერსპექტივაც, რადგან ინტერესთა სხვაობა ზოგადად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაცილებით სჭარბობს ინტერესთა თანხმედრას.

საქართველოში სამხედრო ბაზების დაკანონებას უკანასკნელი ნაბიჯიღა აკლია — პარლამენტის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაცია. ვიტოვებო იმედს, რომ ეს ნაბიჯი მაინც აღარ გადაიდგმება, რადგან თითქოს გამოჩნდა კონტურები სასიკეთო ცვლილებებისა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსში.

იმ ოთხი მეტობლიდან, ვისთანაც საქართველოს უშუალო საზღვარი აქვს, ორთან ჩვენი გეოპოლიტიკური ინტერესების თანხვედრა ნათელია. თურქეთისა და აზერბაიჯანის არაფუნდამენტალისტური ისლამური სახელმწიფოების ეკონომიკურ ინტერესთა ვექტორი დასავლეთისკენა მიმართული. თურქეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და შემდეგ შუა აზიის ქვეყნებზე გადის ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის რეგიონების დამაკავშირებელი ერთ-ერთი პერსპექტიული გეოსტრატეგიული ხაზი. კავკასიაში მას კვეთს ყველა თვალსაზრისით ნაკლებპერსექტიული, მაგრამ ანგარიშგასაწევი ხაზი — რუსეთი, სომხეთი, ირანი. გასაგებია, რომ სწორედ საქართველოს პიზიცია განსაზღვრავს, თუ რომელი ამ ხაზთავანი იქნება ამ ეტაპზე უფრო მტკიცე. ჩვენი ხელშეკრულებები ნავთობსადენის გარშემო გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთთან კავშირი ქართული პოლიტიკის პრიორიტეტად იქცევა. დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კი მრავალმხრივი ინტერესების გამი საქართველოს მიმართ კრიტიკულ მასას მიაღწევს, საფუძველი ჩაეყრება საქართველოს უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებისაც.

ალექსანდრე რონდელი: ბატონი ივლიანე, რაც თქვენ ბრძანეთ ყველაფერს ვთანხმები, მაგრამ ჩვენ რომ „დიდი მის“ სშინელ მაგნიტურ ველში ვართ?! ის, რასაც თქვენ ამბობთ — იდეალია. რეალობა ცოტათ სხვაა და თქვენ კარგად იცით ეს.

ხაინდრაფა: მე არა მგონია, რომ ჩემი ნათქვამი იდეალიზმია. გუშინ ჩვენმა სტუმრებმც აღნიშნეს, რომ შეშს დიდი თვალები აქვს. ჩემინათ მოვლენები ადასტურებს, რომ ჩვენი მხრიდან გადაჭარბებული უკრაინული თხის შეფასება. ჩემნეთი, ბალტიისპირეთი, მოლდოვა აჩვენებენ, რომ ბევრი რამ შინაგან განწყობაზე დამოკიდებული. აღმართ ჰიპონიმის ქვეშ ვიმყოფებით. ვფიქრობ, ჩვენ თვითონ უნდა ვცეო პატივი ჩვენს თავს, უნდა ნათლად ჩამოვაყალიბოთ, თუ რა გვინდა. ბუნებრივია, რომ მინიმუმ – სხვა თავდაცვის მინისტრი უნდა გვყავდეს.

რონდელი: მეც ჰიპონიმის ქვეშ ვარ. ბისმარქმა ბრძანა, რომ რუსეთი ყოველთვის მოჩანს უფრო ძლიერი ან უფრო სუსტი, ვიდრე ის სინამდვილეშია. როცა გოლიათზე და დავითზე ვლაპარაკობთ, დავითი უნდა ვიყოთ. პატარა ქვეყანა, რომელიც არაა შიგნიდან შეერული, ვერაფერს გაბედავს – ესაა ჩვენი უბედულება. ჩვენ რომ ბალტიისპირელებივით შეკრულნი ვიყოთ...

ჯანრი კაშია: თქვენ ისაუბრეთ მეტყველეობა-საქართველო-თურქეთის და რუსეთ-ირანის გადამცვეთ ლეისტებზე. როგორია ჩვენი პერსპექტივა?

ხაინდრაფა: მე მიმაჩნია, რომ ეს ორი ხაზი კონკურენტულია ერთმანეთის მიმართ. ჩვენთვის მომგებიანი დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზში ინტეგრირებაა. მაგრამ თუ საქართველომ სწორი არჩევანი არ გააკეთა და დასავლეთის პოზიციაც მტკიცე არ იქნა, ჩვენ შეიძლება ჩრდილოეთ-სამხრეთის ხავში ჩავერთოთ. ეს არ შედის არც საქართველოს და არც დასავლეთის ინტერესებში.

ირაკლი მელქიშვილი: როდესაც იდეალიზმზე და პრაგმატიზმზე ლაპარაკი, მიღით დაკაცკირდეთ იმას, თუ რამდენად არის საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის კურსი რეალისტური და პრაგმატული. საქართველოში მომწარი კატაკლიზმების შემდეგ, განსაკუთრებით აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, საქართველომ აირჩია კურსი, რომელსაც პირობითად ასე დავარქმებდით: ტერიტორიის დაბრუნება სუვერენიტეტის დათმობის ხარჩევ. რამდენად პერსპექტიული და პრაქტიკულად განხორციელებადია ეს კურსი? ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს ხელმძღვანელობამ უარი თქვა იმ უმთავრეს პრინციპზე, რომლის შესახებაც საზოგადოებაში კონსენსუსი თითქმის მიღწეული იყო: რომ საქართველო თავისუფალი უნდა ყოფილიყო რუსეთის სამხედრო ბაზებისაგან. საქართველო არცერთი სამხედრო პოლიტიკური ბლოკის ნაწილი არ უნდა ყოფილიყო. კურსის შეცვლის შედეგად, არცერთი კონფლიქტი გადაწყვეტილი არ არის, სამშვიდობო ძალების მოქმედების პერიოდში მათი კონტროლის ზონში დახოცილია 1,200-მდე საქართველოს მოქალაქე, ორიოდე დღის წინ მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება ზუგდიდის რაიონის ტერიტორიიდან. გუშინ შედგა რუსეთის და სა-

ქართველოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. ჩას უნდა ნიშნავდეს ეს მშპინ, როდესაც არ არის მიღებული არცერთი პოლიტიკური გადაწყვეტილება და ლეგბა? მე არ ვლაპარაკობ იმ ეკონომიკურ სიტუაციაშე, რომელიცაა შემ მნილი საქართველოში, როდესაც საქართველოს საგარეო გატრობის 53% თურქეთზე მოდის, რუსეთზე კი – მხოლოდ 17-18%. ხელისუფლების დაპირება, რომ ჩრდილოეთთან ინტეგრაცია ეკონომიკურ კეთილდღეობას მოიტანდა, ფიქცია აღმოჩნდა. ჩეალურად შეიძლება დაისვას კითხვა: სად არის ჩეალიზმი და სად არის იდეალიზმი?

ჩარლზ ფერბენჯის: ნება მიბოძეთ წარმოდგინოთ მოსაზრება, თუ როგორ ჩანს ეს საკითხი გარედან. როგორც ბატონ საინდრავას საქმაოდ ღრმა განხილვაში იყო აღნიშნული, რუსეთის ძლიერება შეიძლება მინიმუმადე შესუსტდეს ამიერკავკასიის რესუბლიკების გაერთიანებული მოქმედებით. როგორც ამერიკელ დამკავირვებელს, შემიძლია აღვნინო, რომ კონფერენციაში ძირითადი განხილვის საგანია რუსეთი და დასავლეთის ქვეყნები და ძალიან მცირეოდენი ყურადღება ეთმობა კავკასიურ სახელმწიფოებს. მე არა მცონია, რომ ეს სწორი იყოს, რაღვანაც კავკასიური ქვეყნები ძალიან მნიშვნელოვანნი არიან საქართველოს უსაფრთხოებისათვის. საეჭვოა რომელიც დასავლეთის სახელმწიფომ ოდესუ შეძლოს, იყოლიოს ისეთი სამხედრო ძალა ამიერკავკასიაში, რაც მთანი ყარაბახს აქვს. მეორეს მხრივ, მე არა მჯერა, რომ რუსეთის სამხედრო ძალა უფრო დიდი იყოს, ვიღრე სომხეთისა, რომელიც კავკასიონის სამხრეთით არის განლაგებული. ჩემში შემფოთებას იწვევს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ბევრი ქართველისაგან მოვისმინე, თითქოს საქართველო ვერ იარსებებს რუსეთისაგან დამოკიდებლად, რაღვანაც რუსეთი ძლიერია. ამაში არის აბსტრაქტული სიმართლე და არა კონკრეტული. ჩემი აზრით, ასევე სწორია მოსაზრება, რომ რუსეთისაგან მომდინარე ხიფათი საქართველო-სათვის არის აბსტრაქტული გრძნობა, რომელიც შეიძლება რეალურ საშიროებად გადაიქცეს.

რუსეთის პოლიტიკა და რუსეთის ძალა ძალიან რთული ცნებებია. რუსეთის პოლიტიკურ ელიტში მართლაც არის რამდენიმე პიროვნება, რომელთაც სურთ აღადგინონ საბჭოთა კავშირი. ზოგიერთი მხოლოდ სპეკულიორებს ამ საკითხით პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად; არსებობს მესამე ჯგუფიც, რომელიც იყენებს რუსეთის გაერთიანების და საზღვარგარეთ დარჩენილი რუსების საკითხს თავისი კრიმინალური მოქმედების შესანიღბად. თუ ვერ შევძლებთ ასეთ დაყოფას, და თუ ვერ შევძლებთ განვასტვაოთ რუსეთის პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულებება ამ საკითხისადმი რუსეთის სპონსორების დამოკიდებულებისაგან, ვერ შევძლებთ რუსული მოტივების გაფეხბასა და მათზე ეფექტურ მოქმედებას. მოკლედ, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონულ ძალებს, ამიერკავკასი-

ის ქვეყნებს და ჩეჩენის და ნაკლები – დასავლეთის ქვეყნებსა და რუსეთს. ისე ჩანს, რომ 1991 წლის შემდეგ არარუსულ რესპუბლიკებს შორის კავშირები დაირღვა, და ორიენტირება მოხდა მოსკოვის, ბრაზილიას დონის მიმართულებით. ჯერ კიდევ ბევრ ქართველს აქვს მყარი პირადი ურთიერთობები სხვა რესპუბლიკების მნიშვნელოვან პიროვნებებთან. შეიძლება მათი გამოყენება შიდაკავკასიური კონტაქტების გასაცხოველებლად.

ნიკოლოზ გამადაბეგი: იმ პერიოდში, როცა საქართველო შევიდა დასტანი, არჩევანი არც არსებობდა, ვინაიდან აფხაზეთში დამარცხების შემდგომ იყო საგებით რეალური საფრთხე აგრესის საქართველოს სილრმეში გავრცელებისა. ეს შეიძლებოდა სულ რამდენიმე დღეში მომხდარიყო.

დავით დარჩიაშვილი: ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ უსაფრთხოების სტრუქტურა – ეს არის საშინაო და საგარეო ფაქტორების გარკვეული ნაზავი. ქართულ პოლიტიკურ ელიტიში, როგორც ოპოზიციაში, ასევე ხელისუფლების ეშელონებში, წლების მანძილზე არაერთხელ გასმია ხაზი იმას, რომ საგარეო ფაქტორს და კერძოდ რუსეთთან ურთიერთობას გადამჟყვეტი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ქვეყნის საშინაო სტაბილურობისათვის. ქართული პოლიტიკური ცნობიერება ამოღის იქიდან, რომ ძირითადი საფრთხე მომდინარეობს რუსეთიდან, ხოლო უსაფრთხოების სისტემა გულისმობას ამ წარმოსახვითი თუ რეალური საფრთხის წინააღმდეგ დონისძიებების შემუშავებას. საქართველოს პოლიტიკური არჩევანი ამ საფრთხესთან მიმართებაში ისაზღვრებოდა. ზოგჯერ ქართული პოლიტიკა იძენდა საფრთხისაგან გაქცევის მიზნით ამავე საფრთხისათვის კარის გაღების, "დაყვავების" სახეს, მაგრამ ზოგჯერ ხდებოდა რუსეთის გავლენის გამანერტრალებელი საშუალებების ძიებაც. შეიძლება გავიხსენოთ დასტანი შესვლა, ქართულ-რუსული ჭარის ფორმირებისაკენ გადადგმული ნაბიჯები, მცდელობა იმისა, რომ აფხაზეთი დაბრუნებული იქნას რუსული ხიშტებით. მაგრამ პარალელურად იღებებოდა რუსეთისაგან რაღაც ალტერნატიული გარანტიების ძიების ნაბიჯებიც. ქართული პოლიტიკური ელიტა დღესაც ჩემბა გზის გასაყარათან და დღესაც ვერ აურჩევა, თუ რა მეთოდით შეიძლება მის მიერ მთავარ საფრთხედ დანახული პრობლემის გადაჭრა. ესაა ერთ-ერთი მიზნი იმისა, რომ დღესაც არ არსებობს საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია.

კაშია: ბატონიშვილის ფერბერნებში განიხილა სიტუაცია კავკასიაში. ჩემი აზრით, ჩვენ ვერ ავცდებით რუსეთის პრობლემას, რაღაც კავკასიის პრობლემა საზოგადოდ რუსეთის პრობლემაა. დღეს ცხადია, რომ ჩეჩენეთის პრობლემა არ არის მხოლოდ კავკასიის პრობლემა, ისიც რუსეთის პრობლემაა. რუსეთის ფაქტორის გარეშე კავკასიაში პრობლემების გადაჭრა ძალიან აღვილი იქნებოდა, მაგრამ რეალურ პოლიტიკური რუსეთს საკუთარი ინტერესები გააჩნია კავკასიაში. საერთო კავკასიური ინტერესები კი არ

ემთხვევა რუსეთის ინტერესებს. ამიტომაა, რომ ვმსჯელობთ რუსეთშე და არა კავკასიაში ჩვენს მეზობლების პრობლემებზე. თეორიულად უტირებება განვიხილოთ სიტუაცია რუსეთის გარეშე, მაგრამ ასეთი მსჯელობა არ იქნება რეალობიდან გამომდინარე და მოწყდება კავკასიის უშიშროების საკითხებს. საფრთხე მოდის ჩრდილოეთიდან, და აგრეთვე იმ დამოკიდებულებიდან, რაც დასავლეთს აქვს რუსეთისა და კავკასიის მიმართ.

ფერბენქს: ჩეჩენეთის პრობლემა ისევეა კავკასიის პრობლემა, როგორც რუსეთისა. გარკვეულმა ძალებმა ძალაუფლება მისცეს დუდაევის რეჟიმს, რათა მას საქართველოსათვის აფხაზეთი წაერთმია. იყო ბევრი სხვა მზეზიც. მაგრამ ეს მოხდა რუსეთის ერთიანობის მოსაზრებებისა და მოთხოვნების გაუთვალისწინებლად. ამგარად, ჩეჩენეთი და აფხაზეთი ურთიერთდაკავშირებული პრობლემებია. მე ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ჩეჩენეთში ომის დაწყება დაკავშირებული იყო აზერბაიჯანის ნავთობის კონსორციუმის ხელშეკრულებასთან. მისი ძირითადი დანიშნულებაა ნავთობის ჩრდილოეთის გზის საკითხის გადაწყვეტა. ჩემი მოსაზრება სწორად არ იქნა გაგებული. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ რუსეთი უდიდესი პოტენციის მქონე პრობლემაა, მაგრამ მე ვიცი იმავე მნიშვნელობისა და ხარისხის პრობლემები სხვა კავკასიური ქვეყნებისათვის. რუსეთის ძალებს საქართველოში ეფუძნურად მოქმედება შეუძლიათ აფხაზეთისა და ოსეთის სეპარატიზმის საშუალებით. უსაფრთხოების პრობლემები და ამ პრობლემის მოგვარება სხვადასხვა რამეა. რუსეთი უდიდესი პრობლემაა, ის მეტად რთულია, მაგრამ მე ვფიქრობ რომ ამიერკავკასიისა და კავკასიის როლი არააკლებ მნიშვნელოვანია პრობლემების მოგვარებისათვის.

მედიამგზილი: მინდა დავვთანხმო ბატონ ფერბენქსს, რომ კავკასიის პრიბლემების განხილვის გარეშე ძალიან რთულია ვილაპარაკოთ საქართველოს უსაფრთხოებაზე. ქართველები ამ საკითხს საკმაოდ დიდ ყურადღებას ვაჭრებით, მაგრამ ჩვენი შეცდომების შედეგად 90-იანი წლების დასაწყისი რუსეთმა შეძლო ეროვნულად განწყობილი ძალები კავკასიში მიეგმართა არა თავის, არამედ საქართველოს წინააღმდეგ. ამის შემდეგ საქართველო ძალიან დიდი საფრთხის წინაშე დადგა. კარგადაა ცნობილი, რომ იმავე ბასავის აზრები მზადდებოდა გუდაუთის მახლობლად რუსი სამხედროების მიერ. მეორე მხრივ, ჩეჩენეთის პრობლემა უშუალოდაა დაკავშირებული ნავთობსადენთან. როდესაც კონფლიქტი იწყებოდა, საქართველოს პარლამენტში აღმოჩნდა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც უშდა მომხდარიყო საქართველოს ნავთობსარეწა და გაზსადენთა პრივატიზაცია და მისი საკონტროლო პაკეტი ხელში უნდა აეღო რუსეთის "გაზიპრომს". ღუდავთან ომით რუსეთი ცდილობდა მოეხსნა ჩეჩენეთის საკითხი, ამით გაეადვილებინა თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება ნავთობსაღენის მარშრუტის თაობაზე და ამავე ღრმის საქართველოსათვის წაერ-

თმია ანალოგიური შანსი.

ჩვენთვის პრიორიტეტულია, დაგარეგულიროთ ურთიერთობა ჩვენს ჩრდილოკავკასიელ მეგობრებთან, ამის გარეშე საქართველოს უსტურებულობის ბის პრობლემის გადაჭრა ძალიან როული იქნება, რადგანაც რსული ველთვის ექნება საშუალება საქართველოში შექმნას მუდმივი დაძაბულობის სინდრომი, სადაც თვითონ გამოვა არა როგორც დაინტერესებული მხარე, არამედ როგორც უზენაესი მოსამართლე. 1921 წელს ლოიდ ფორმა განაცხადა, რომ კავკასიაში მუდმივ არეულობას რეგიონში რსულების დომინანტობასთან შეგუება ჯობია. ჩვენ დღეს ვართ იმის მსხვერპლი, რომ არ გვეყო კავკასიური პრობლემების მოგვარების ჰქუა, და იმისი მსხვერპლიც, რომ მავანისა და მავანისათვის უმჭობესია ნახოს მშვიდობიანი კავკასია, ვიდრე აქ კიდევ ერთი არეულობის კერა შეიქმნას.

აღმესანდრ პიორართები: ჩემი შეხედრებიდან როგორც საქართველოს, ისე სამხრეთ ისეთის და აფხაზეთის ლიდერებთან თვით არძინბას ჩათვლით ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ყველა მხარეს სურს გადაჭრას არსებული დილემები. ამასთან, ისინი ყველანი ოჯახური ტიპის არგუმენტებით ესაუბრებიან ერთმანეთს. ჩემი აზრით ეს არ ნიშნავს ამ ლიდერების გამოუცდელობას, ამ ფაქტის ასენა თვენი წარსულის ისტორიიდან შეიძლება. ეს ეხება დასტაციური დანარჩენ ჰვევანას. მე არ ვიცი, რამდენი წლისაა თქვენი თავდაცვის სამინისტრო – ორი, სამი წლის? ჩასუნდა მოველოდეთ სამი წლის სამინისტროსაგან, ის სამი წლის ბავშვის მსაგასია, სწორად სიარული უჭირს. იგივე შეიძლება ითქვას საგარეო საქმეთა სამინისტროზე. მას არასოდეს გადაუჭრია უშიშროებასთან დაკავშირებული პრობლემები, ყველაფერს მოსკოვი წყვეტდა. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ხალხს არ უნდა აფხაზეთისა და ისეთის პრობლემების განხილვა გეოპოლიტიკურ ან მეცნიერულ დონეზე, მაგრამ მათ ამის გამოცდილება არა აქვთ.

საქართველოს მთავრობის მიერ წამოყენებული ინიციატივა მშვიდობიანი კავკასიის შესახებ ნიშანია იმისა, რომ ქვეყანა სცდება ამ „ოჯახური“ მიდგომის დონეს. მან საქართველოს პრობლემები უფრო ფართო კონტექსტში წარმოადგინა. ქვეყანას სურს, მათი გადაწყვეტის პროცესში ჩართოს არა მარტო თავისი მეზობლები, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც გარანტია კავკასიის რეგიონში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ახლასანს საქართველოს დელეგაცია წარსდგა ეუთო-ს მმართველი საბჭოს წინშე პრალაში. მუშავდება მოსახრება იმის შესახებ, რომ მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივა განიხილებოდეს როგორც ნაწილი, რეგიონული ასკექტი ევროპული უშიშროების მოდელისა ცდამეერთე საუკუნეში, რომელზედაც უნდა იმსჯელონ ევროპის სახელმწიფოების ლიდერების ამა წლის დეკემბრის შეხედრაზე ლისაბონში.

მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივა შეიძლება საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთი სატრატეგიული მიმართულება იყოს, მაგრამ ის ფორმულირებული უნდა იქნას არა როგორც მოსაზრება, პრაშედან როგორც სამოქმედო გამა, რომელიც გასაგები იქნება სტრატეგიული და სამხედრო ანალიტიკოსებისათვის. თუ ეს გეგმა მოწონებული იქნება თქვენი მეზობლების მიერ, ეს იქნება ყველაზე კარგი წვლილი თქვენი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში.

თავმჯდომარე: თქვენ საშუალება გქონდათ გაცნობილით საქართველოში ეთნიკურ პრობლემებს. მე მაინტერესებს, შესაძლებელი იქნებოდა, თუ არა ქართულ-ოსური კონფლიქტის თავიდან აცილება ამ კონფლიქტში მესამე მხარის მონაწილეობის გარეშე?

ბორის ართვი: ეს საკმაოდ რთული კითხვაა. მე არა ვარ ამ კოფლიქტების წარმოშობის წყაროების ექსპერტი. ჩვენ ვხედავთ ამ კონფლიქტებს იმ ფორმით, როგორებადაც ისინი ამჟამად გვევლინება.

გამეჩილაძე: შეიძლება მათი მოგვარება საქართველოს ძალებით?

ბორის ართვი: არა.

ხაინდრაძე: ხაინდრავა ვეთანხმები ყველა იმ გამომსვლელს, ვინც ხაზი გაუსვა ამიტრკავკასიურ და ზოგადად კავკასიურ თანამშრომლობას. მე მექმენება შთაბეჭყდილება, რომ ბალკანეთის პრობლემის მოგვარების შემდეგ დასავლეთის ინტერესი ლოგიკურად გადაინაცვლებს კავკასიისაკენ, თუ გნებავთ, იმავე ნავთობსადნენის გამო. უნდა გითხრათ, რომ რუსეთიც თაღარიგს იჭერს: ფაქტიურად, ხელშეკრულება ბელარუსი-რუსეთი-ყაზახეთი-ყირგიზეთის გაღრმავებული ინტეგრაციის შესახებ არის მცდელობა ამ დასავლეთ-აღმოსავლეთის კონტინენტური ხაზის ჩრდილოეთით გადატანისა. შემდეგ, რუსეთი ამ ხაზს ან გახსნის, ან ჩაკეტავს. ან რაც უფრო სახიფათოა, ჯერ გახსნის, შემდეგ ჩაკეტავს. ეს აუცილებლად არის გასათვალისწინებელი. არ შემიძლია, უპასუხოდ დაგტოვო ბატონ ვაშაკიძის მოსახრება, თითქოს დას-ში საქართველოს შესვლა უალტერნატივი იყო. რა თქმა უნდა, აფხაზეთში წმინდა სახით აგრძელის ქვენდა აღგილი, მაგრამ საკითხავია, თბილისის დაკავებას ვინ აპირებდა, აფხაზი ბოევიკები? სავსებით გასაგებია, რომ ეს იყო ქართველთა შორის კონფლიქტი და აქ იდგა არა თბილისის დაკავების პრობლემა, არამედ ხელისუფლების პრობლემა საქართველოში. მე მეჩვენება, რომ ერთ-ერთი მთავარი მანკი ქართველ ხელისუფალთა აზროვნებისა არის ის, რომ საკითხის ცენტრში დგება რუსეთის ინტერესები საქართველოში და ამიტრკავკასიაში. შემდეგ ცდილობენ ამას შეუსაბამონ საქართველოს ინტერესები. ბუნებრივია, რომ რუსეთის ინტერესებიც გასათვალისწინებელია, მაგრამ მთავარი უნდა იყოს ქართული ინტერესები საქართველოში. ამ ინტერესებიდან გამომდინარე უნდა შევეცადოთ დავაბალანსოთ რუსეთის, თურქეთის, ლონდონის, ბონის

თუ სხვა ქვეყნების ინტერესები. სანამ ეს შემოტრიალება არ მოხდება ქართულ ხელისუფლებაში, საუბარი თანამდევრულ პოლიტიკურ კურსზე ზედმეტი იქნება. მესმის, რომ თავდაცვის სამინისტროც და საგარეო მეთა სამინისტროც ძალიან ახალგაზრდები არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ უნდა ჰქონდეთ ჩამოყალიბებული სამჯედო პროგრამა.

მათუამ კულტურულ ჩვენი უსაფრთხოების პრობლემებიდან მთავარია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენ ამას ვეცადეთ ნეიტრალიტეტით, საერთომორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რიგ ქვეყნებთან დალებული ხელშეკრულებებით – ყველაფერი იღუშია გამოდგა. საქართველოს ისტორიამ აჩვენა, რომ ჩვენ არ შევგიძლია თავის დაცვა დამოუკიდებლად. სამხედრო ძალა აუცილებელია, მაგრამ ჩვენი უსაფრთხოების პოლიტიკა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ არმიის შენებით.

საჭიროა ა) ჩეგიონული პოლიტიკის შემუშავება, კავშირებისა და ინსტიტუციური კონკერაციის განვითარება არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს კავკასიაში. ბ) ჩვენ უნდა დავაბალანსოთ რესეთის პოლიტიკა დასავლეთის და სხვა ქვეყნების პოლიტიკით. უფრო სწორად, ჩვენ მხოლოდ რესეთის პოლიტიკა კი არ უნდა დავაბალანსოთ, არამედ რესეთისა და დასავლეთისა ერთად. ჩემი აზრით, ესაა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ორი მთავარი იდეა.

შევეცდები ნათქვამის დამტკიცებას. ახლა კავკასიაში უსაფრთხოების არქიტექტურის ნაკლებობაა. ჩვენი უსაფრთხოების საწინდარი ისაა, რომ ვაცნობიერებთ თავს, როგორც კავკასიის ინტეგრაციულ ნაწილს. მსოფლიო იმდენად მოგვაწვევს ყურადღებას, რამდენადაც შევიძენთ წინას რეგიონული მასტრაბით. „მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივა“ ითამაშებს დიდ როლს რეგიონის უსაფრთხოებში.

ბოლო დროს დასავლეთი მეტი ყურადღებას უთმობს ეკრანის სამხრეთ ფლანგს – არა მხოლოდ ფუნდამენტალიზმის საფრთხის ასაცილებლად, არამედ პერსპექტიული ბუნებრივი რესურსების კონტროლის მიზნით. ესაა უსაფრთხოების დასავლური მოდელი. მშენის საგარეო პოლიტიკაში გაჩნდა ტერმინი „საკანძო სახელმწიფო“ (pivotal state). არის მშენის მიერ ჩვენს მიმართ ყურადღების გზრდის ტენდენცია. ეს ტენდენცია გამოიწვევს იმას, რომ ნატო და მშე ჩვენი უსაფრთხოების გარანტია იქცევიან. საქართველოს შეუძლია იყოს ლიდერი და „საკანძო სახელმწიფო“ ამ რეგიონში.

ჩვენი უსაფრთხოების შემდგომი ქვაკუთხედი დემოკრატიული რეფორმა და ეკონომიკური კეთილდღეობაა. მსოფლიო საგაჭრო გზებმა შესაძლოა საქართველოზე გაიარონ. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, თუ როგორ გვჭირდება რეგიონული კონკერაცია.

ნეომამპერიალიზმი ყველაზე დიდ სართხეს უქმნის საქართველოს უსაფ-

რთხოებას. ამიტომ უნდა დავაბალანსოთ რუსეთის გავლენა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ გამწვავდა ბრძოლა კასპიის ნავთობისათვის. საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად ქცევის პერსპექტივა აქვს. ამის გამო გაიზარდა რეაფინანსოს ნავთობსადენის ქართული მონაკვეთი. ამავე დროს, რუსეთი ცდობს არ დაკარგოს გავლენა ამ საკითხის გადაწყვეტისე.

საქართველომ მოაწერა ხელი დსთ-ის კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებას. დსთ-ის მონაწილე ქვეყნების ინტერესთა დაპირისპირების გამო ეს ხელშეკრულება კარგას ღირებულებას. მეორეს მხრივ, თუ რუსეთში არადემოკრატიული პროცესები გაგრძელდა, ეს კოლექტიური სისტემა შესაძლოა დასავლეთის საწინააღმდეგოდ ამშენდეს. ეს გააცოცხლებს ცივ ომს. ამიტომ საქართველოს დაბალანსებული პოლიტიკა სწორია და ემთხვევა დასავლეთის მიღდომას.

საქართველოს უსაფრთხოების შემდგომი კომპონენტია თანხმობა უკრაინის ინიციატივაზე ნდობისა და უსაფრთხოების შენების შესახებ შავი ზღვის ჩვენიმში. ეს ინიციატივა მომავალში შეიძლება შავი და ბალტის ზღვების ჩვენიონთაშორისი კოოპერაციის ხელშემწყობი გახდეს. არსებობს ბალტის ქვეყნების კოოპერაცია და ამ ორ ჩვენიონულ ინიციატივას შეუძლია რუსეთის ნეგატიური გავლენის განეთრალება.

შემდეგი საკითხია თანამშრომლობა ნატო-ს ინიციატივა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნატო-ს გაფართოების გარკვეული სახე. ეს ინიციატივა მხარს უჭერს მასში მონაწილეობა არმიების განვითარებას. ჩვენ იგი შეიძლება დაგვეხმაროს რუსეთის სამხედრო დახმარებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებში. „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ასევე უნდა განვიხილოთ, როგორც ბალანსის ფაქტორი ჩვენს უსაფრთხოების პოლიტიკაში. საქართველოს მიერ გადადგმული არცერთი ნაბიჯი არ უნდა იყოს მიმართული დასავლეთის წინააღმდეგ. მომავალში უნდა ვეცადოთ ნატო-ში, ევროგაერთიანებაში შესვლას. ეს იქნება მთავარი გარანტი ჩვენი სამომავლო უსაფრთხოებისა.

და ბოლოს, ჩვენი უსაფრთხოება მარტო ჩვენი პრობლემა არაა. იგი შეიძლება ყველას პრობლემად იქცეს.

ედგარდ როჭერისა იმ რვა ქვეყნიდან, რომელთანაც საქმე მქონია ცენტრალურ შინაგანი და კავკასიაში, საქართველომ ჩემი აზრით ყველაზე დიდი ნაბიჯები გადაღება დემოკრატიისაკენ. მაგრამ ამაში საფრთხეც არის, რადგან დემოკრატიის პირობებში ხდება ყოველ საკითხშე დისკუსიების, ღია დებატების წახალისება. დებატები საქართველოში ხშირად ხდება აზრთა სხვობის მიზეზი. ჩემი პირადი აზრია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმატებას მიაღწიეს იმ ქვეყნებმა, რომლებმაც აღრევე ჩამოაყალიბეს ეროვნული ხედვა. მათ ჰქონდათ დებატები, მაგრამ მივიღნენ ეროვ-

ნულ კონსენსუსამდე. მათ შექმნეს ეროვნული ხელვა საკუთარი ქვეყნებისა, მითი, რომელზედაც გუშინ საუბრობდა ბატონი ლორენს კერი. ზოგ დათა ის ქვეყანაში ეროვნული ხელვის ჩამოყალიბება ამჟამად მიმდინარეობს. ამ გვარ ხელვაში ერთმანეთს ერწყმის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ელემენტები. მე მგონია, რომ სწორედ ამგვარ ხელვზე დამყარებული ქმედების შედეგად მიაღწევენ ქვეყნები წარმატებას საკუთარი მიზნების განხორციელებაში. საქართველოს წინაშე არჩევანის მრავალი შესაძლებლობაა, მაგრამ არჩევა იმისა, თუ რა გზით ივლით, სწრაფად უნდა მოხდეს.

გასილ სიხარულიძე: ხელშეკრულება ჩუსეთის ბაზების თაობაზე მრავალ უარყოფით მოქმენტს შეიცავს. რუსული ბაზები განლაგებულია ეთნიკურად რთულ რეგიონებში და რუსეთი თავისი სამხედრო ძალით მართავს იქ პროცესებს, ვაზიანის ბაზა კი რუსეთს თბილიში აძლევს წყლის ამღვრევის საშუალებას. ასე იყო 1991-1992 წლის თბილისის ომის დროს. ასე იყო 1995 წლის აგვისტოში განხორციელებულ ტერორისტულ დაკავშირებით. ამავე დროს, რუსეთის გარი საქართველოში რაოდენობით აღმატება თავად ქართულ არმიას, რაც იწვევს ჩვენი სუვერენიტეტის შეზღუდვას. ჩვეულებრივი (conventional) შეიარაღების საქართველოსათვის გამოყოფილი ქვეტის გადასინჯვით რუსეთი ამცირებს საქართველოსათვის კუთვნილი ტექნიკის წილს და გვისუსტებს თავდაცვისუნარიანობას. საყურადღებოა ისიც, რომ რუსული ბაზების არსებობამ საქართველო შესაძლოა ჩაითრიოს დსთ-ის უშიშროების ერთიან სისტემაში, რაც ხვალ შეიძლება ევროატლანტიკური უშიშროების ქვეყნებთან დაპირისპირების მიზეზი გახდეს. დსთ-ის უშიშროების სისტემაში შეკარად ჩანს რუსეთის მაღომინირებელი როლი. ეს სისტემა რუსეთის ინტერესებს ემსახურება და ამით განსხვავდება ნატოს უშიშროების სისტემისაგან. ყოველივე ზემოთქმულის გამო საქართველოში მყოფი სამშვიდობო ძალები მხოლოდ რუსებისგან შედგება. პრაქტიკაში აჩვენა მათი არაეჭერულობა. თანაც შეკარაა, რომ რუსეთისათვის სამშვიდობო ძალები საკუთარი ინტერესების დამცავი მექანიზმია.

თავმჯდომარე: ჩვენ სულ რუსეთის ინტერესებზე ვსაუბრობთ და გვაწყვდება, რომ საქართველოსადმი სხვა ქვეყნებსაც აქვთ ინტერესები, სხვა ქვეყნებიც ერევიან აქაურ საქმეებში.

რონდელი: სახელმწიფო არის უსაფრთხოების მთავარი ღერძი. პოსტ-საბჭოურ სივრცეში სახელმწიფოებრიობა გადამწყვეტი შნიშვნელობას იძენს. რუსეთის გამოკლებით ყველა პოსტ-საბჭოური ქვეყანა არსებითად ქვეშისახელმწიფოა. სახელმწიფოს მშენებლობა არსებითად საშინაო საქმეა და საერთომრისო თანამეგობრობას ამ პროცესში მხოლოდ დამარტება შეუძლია. სახელმწიფომ თავიდანვე უნდა განსაზღვროს საკუთარი ეროვნული ინტერესების კონცეფცია, უსაფრთხოების პოლიტიკის ამოცანები და პრი-

ორიტეტები. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა პატარა და სუსტი ქვეყნები-სათვის.

ახლადგაჩენილი ქვაზისახელმწიფოსთვის ეროვნული უსაფრთხოების მშენებელი რად გაიგება, როგორც საკუთარი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. პატარა ქვეყნისათვის უსაფრთხოება გაღარჩენის ტოლ-ფასია. პატარა ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას არსებითად რეგიონული ხსიათი აქვს. მაგრამ მთავარი საზოგადო მათვის შინაგანი უსაფრთხოებაა. შინაგანი დაუცველობაა სისუსტის მთავარი წყარო. არასტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტები განაპირობებენ შინაგან არეულობას და გარეშე ძალია ჩარევას.

შინაგანი სისუსტე შეიძლება მომდინარეობდეს მრავალეთნიკურობისა-გან, რეგიონალიზმისაგან, არასაქმარისი სოციალურ-პოლიტიკური შეკავშირებულობისაგან. ყოფილი საბჭოთა კავშირის შემთხვევაში ეს სისუსტეები საფრთხეს უქმნიან მის ტერიტორიაზე აღმოცენებული სახელმწიფოების თავად არსებობასაც კი.

საბეღნიეროდ, თანამედროვე საერთოორისო სისტემა იცავს ქვაზისახელმწიფოებს სრული გაქრობისაგან. შეუძლებელია, რომ მათ ჩამოერთვას სუვერენიტეტი ომის შედეგად. ამავე დროს, ჩვენ კვლავ ვცხოვრობთ იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოების ქცევა მათი ნაციონალური ინტერესებით და ძალის ფაქტორითაა განსაზღვრული. იუგოსლავის და ყოფილი საბჭოთა კავშირის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პატარა ქვეყნები არ უნდა იყენებო მხოლოდ საერთოორისო ნორმების იმედზე. მათ უნდა ეძებონ საკუთარი უსაფრთხოება აღიანსებისა და კოლექტური უსაფრთხოების ფარგლებში.

ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა განსხვავდება გეოგრაფიული, დემოგრაფიული, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებით. ამდენად, მათი უსაფრთხოების ინტერესებიც განსხვავებული უნდა იყოს. მაგრამ როგორც სუსტ ქვაზისახელმწიფოებს, მათ მრავალი საერთოც აქვთ. სამიერ უნდა განსაზღვროს საკუთარი სშინაო და საგარეო სისუსტის წყაროები და საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები. მათ წინაშე დგას უსაფრთხოების ინსტიტუტთა განვითარების ამოცანა. დამოუკიდებლობის ოთხი წელი არ იყო საკმარისი ამ ამოცანათა შესასრულებლად.

ვინ უნდა განსაზღვროს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა უსაფრთხოების ინტერესები და ამოცანები? განვითარებულ სახელმწიფოებში ამას აკეთებს მმართველი ელიტა, რომელიც წარმოდგენილია მთავრობაში, პარლამენტში, პოლიტიკური პარტიების სახით. საზოგადოებრივი შეჩიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ პროცესში. საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია სელისუფლებაში გამოუცდელი და არაკომპეტენტური ხალხის მოზღვავება.

ამან გაამწვევა არსებული პრობლემები, განსაკუთრებით ეთნიკური ურთიერთობების სფეროში. უპასუხისმგებლო ელიტებმა მოიმარჯვეს პროცესში, ნაციონალისტური ლოზუნები და გააჩაღეს (გარეშე ძალთა „დამირუშით“) სისხლიანი კონფლიქტები.

ამიერკავკასია იქცევს სამი რეგიონალური ძალის, რუსეთის, თურქეთისა და ორანის სპეციალურ ყურადღებას. მათი მეტოქება ძლიერდება ისტორიული დაპირისპირებულობის გმოც. რუსეთს ამიერკავკასია „მახლობელ საზღვარგარეთად“ მიაჩნია და ცდილობს აქ საკუთარი გავლენის სფეროს ჩამოყალიბებას. იგი იყენებს „დაშყავი და იბატონეს“ პოლიტიკას და ამძაფრებს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ დავას. რუსეთს ეშინია ისეთი რეგიონული ალიანსის შექმნის, რომელიც მისი მონაწილეობის გარეშე ჩამოყალიბდება. მას ეშინია ამიერკავკასიაში ბუფერული სახელმწიფოების ფორმირების და უსაფრთხოების ვაკუუმის გაჩენის, რომელიც შეიძლება სხვა დიდმა სახელმწიფომ შეაგხსოს. რუსეთის მართველი ელიტა ამიერკავკასიას საკუთარი საიცოცხლო ინტერესების სფეროდ განიხილავს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკები მოქმედებენ რუსეთის მაგნიტურ ველში. სომხეთი რუსეთის ღია მოკავშირეა და იყენებს მის ძალას აზერბაიჯანის წინააღმდეგ. ორი დანარჩენი ამიერკავკასიული რესპუბლიკა კი საკუთარ ინტერესს რუსეთისაგან გამიზენაში ხდება და ამით შეუწყვეს ხელი საკუთარივე ტერიტორიების დეზინტეგრაციას.

ამიერკავკასიის სამი სუსტი სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემები შეიძლება ოთხ კომპონენტად დაყოს; ა) სამხედრო-პოლიტიკური; ბ) ეკონომიკური; გ) ეთნოკულტურული; დ) ეკოლოგიური. ეს კომპონენტები იწვევენ შიდასახელმწიფოებრივ თუ სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს. ეს კონფლიქტები კი შესაძლოა გასცდეს რეგიონის ფარგლებს.

ამიერკავკასიისათვის უმნიშვნელოვანებია უსაფრთხოების ეთნო-კულტურული კომპონენტი. რეგიონის ეთნო-კულტურული მოზაიდან მრავალი კონფლიქტი აღმოცენდა. ეს პრობლემები სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებას იწვევს. ამავე დროს, არსებითია ეკონომიკური კომპონენტიც; არც ერთი ამიერკავკასიული სახელმწიფო არაა ეკონომიკურად დამოუკიდებელი. ყოველი მათგანი განიცდის ეკონომიკურ კრიზისს. კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების საკითხს ასევე შეაქვს წელილი რეგიონულ პოლიტიკაში.

ამიერკავკასიის უსაფრთხოების პრობლემები რეგიონული ხასიათისაა. ამ ეტაპზე ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ მთელი კავკასია, როგორც ერთიანი უსაფრთხოების კომპლექსი, რადგან რეგიონის ერთი ნაწილი კვლავ რუსეთის შემადგენლობაშია. მაგრამ მარტო ამიერკავკასიის ერთიან უსაფრთხოებით ველზე საუბარიც შეიძლება ზედმეტი გამარტივება იყოს

საქმის ვითარებისა; არ შეიძლება ეწოდოს „კომპლექსი“ იმას, რაც ჩანა-სახოვან მდგომარეობაშია. ჯერ-ჯერობით სამი ამიერკავკასიული, ჰევენის უსაფრთხოების ხედვა შიდა პრობლემებზეა ორიენტირებული. ისინი არ თქ-ნამშრომლობენ უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში.

ძლიერი მეზობლები დიდ გავლენას ახდენენ ამიერკავკასიის უსაფრთ-ხოების დინამიკაზე. კასპიის ნავთის მნიშვნელობის ზრდას შეუძლია კიდევ უფრო გაზარდოს ძლიერ მეზობელთა როლი რეგიონის უსაფრთხოების სა-კითხებში. ყოველ მათგანს საკუთარი ინტერესი აქვს. ერთ-ერთმა მათგან-მა - რუსეთმა - მოახერხა ნაწილობრივ მაინც დაემორჩილებინა რეგიო-ნის უსაფრთხოების სფერო საკუთარი ორიენტირებისათვის. მან შეძლო თა-ვისი გავლენის გაზრდა სამხედრო ძალის რეგიონში განლაგების მეშვეო-ბით. ამგარად, გარეშე ძალა უფრო დიდ როლს თამშობს რეგიონული უსაფრთხოების დინამიკაში, ვიდრე თავად რეგიონის ქვეყნები.

თუ რუსეთმა მოახერხა დსტ-ის ფარგლებში კოლექტური უსაფრთხო-ების ჩარჩოების და სამხედრო ალიანსის ფორმირება, ამიერკავკასიის რე-გიონული უსაფრთხოების კომპლექსის მშენებლობა გაურკვეველი დროით გადაიდგა. ამიერკავკასიის ჩანასახოვანი უსაფრთხოების კომპლექსი კი შე-საძლოა გარდაიქმნას კავკასიურ კომპლექსად, თუ ჩრდილოეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოები აღმოცენდა.

შეღამდიდი: კონფლიქტების მოგვარებაში გამოსავალი იქნება ის, რომ სამშვიდობო ძალები გაეროს დაემორჩილოს.

კახა ჩიტაა: ეროვნული უსაფრთხოება დემოკრატიულ პრინციპებს უნ-და ემსარებოდეს. მარტო სამხედრო ძალაზე დაყრდნობა, თუ არ იარსე-ბებს უსაფრთხოების მწყობრი სისტემა, უარესს მოიტანს. უმთავრესი მნიშ-ვნელობა ენიჭება რეგიონული უსაფრთხოების გაღრმავებას უახლოეს მე-ზობლებთან. ამ საქმეში პარლამენტს უნიკალური როლის შესრულება შე-უძლია. ჩვენ დავიწყეთ კიდეც ჩვენი კავშირების გამოყენება, თუმცა ბევრ სირთულეს წავაწყდით. ნავთობსადენი ამ თანამშრომლობის გაღრმავების ერთ-ერთი საფუძველია. ჩვენ უნდა დავაინტერესოთ ჩვენი მეზობები. ჩვე-ნი უსაფრთხოება მეზობელთა უსაფრთხოებითაა განპირობებული. საინტე-რესო იქნებოდა, რომ მომავალში ამგვარი სემინარი რეგიონული მასშტა-ბით ჩატარდეს და მასში მონაწილეობა მიიღონ რუსეთმა, თურქეთმა და ირანმა.

გვდაგა: ნატო-ს მიერ ბოსნიის ამბებში ჩაბმიდან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომ დასავლეთმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კავკასიას და ეს ასეც ხდება. მე უკვე აღვნიშნე, რომ დასავლეთს არ შეუძლია აქტიურად ჩატაროს კავკასიის საქმეებში. ამასთან, დასავლეთს არ შეუძლია ყურადღება არ მიაჰციოს რუსეთის ნეონიპერიალიზმს, რად-გან რეგიონული კონფლიქტები შეიძლება გასცდეს რეგიონის საზღვრებს.

გამოსავალი, ჩემი აზრით, იმშია, რომ დასავლეთმა მეტი ყურადღება მი-
აქციოს რუსეთის მოქმედებას კავკასიასა და მთელს დსტ-ში.

ფრიდრიხ კრისტენი: დემოკრატია არის ადამიანთა თვის პიროვნეულ-
თავისუფლების მინიჭება და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის პირობე-
ბის უზრუნველყოფა. იმისათვის, რომ ეკონომიკურ კეთილდღეობას მიაღ-
წიოთ, უცხოელი ინვესტორები გჭირდებათ. მაგრამ უცხოელი ინვესტორი
არ წავა რისკზე და არ დააბანდებს კაპიტალს, სანამ სტაბილური პირო-
ბები არ იქნება შექმნილი. თქვენ ყველა საშუალებით უნდა შეწყვიტოთ
კონფრონტაცია სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან, მაგრამ არა ძალის
გამოყენებით. უნდა შეწყდეს დისკუსია იმაზე თუ ვინ დაიწყო ომი და
ვის რა ისტორიული უფლება ეკუთვნის. ყოველივე ეს არ უწყობს ხელს
არსებული ვითარების გაუმჯობესებას. თქვენ უნდა მიმართოთ მთელი ენერ-
გია იმაზე, რომ მიაღწიოთ ეკონომიკის გარკვეულ ღონეს, მოაცილოთ სტა-
ბილიზაცია და გახარით საქართველო მიმზიდველი იმავე აფხაზეთისა და
სამხრეთ ოსეთისათვის. მე გარშემუნებოთ და ეს ჩემი ბოლო განცხადებაა,
რომ ყოველივე ეს თქვენ მხოლოდ საქართველო ძალებით უნდა შეძლოთ.
ამში ვერ დაგეხმარებათ ვერც დასავლეოთი და ვერც აღმოსავლეთი. ეს
თქვენი და საქართველოს მოსახლეობის გასაკეთებელია.

ბრეინსტორმინგის შეჯამება და დახვეწიოთ ძღვენარული ხედოთმა თაგმადომარე - გოლდფენგ მანივი

თაგმადომარემ გადასცა სიტყვა მომხსენებლებს ბრეინსტორმინგში მო-
ნაწილე ჩგუფებიდან.

გია ნოდა: დისკუსიის შედეგად შევქმნით საქართველოს უსაფრთ-
ხოების ძირითადი საპრობლემო არების სია. ამასთანავე შევთანხმდით,
რომ საქართველოს უსაფრთხოებისათვის საშინაო პრობლემები საგარეო
ფაქტორებზე უფრო მნიშვნელოვანია. ჩვენი აზრით, ძირითადი საპრობლე-
მო არები შემდეგია:

1) სოციალურ-ჰუმანური ფაქტორი. საქართველო, როგორც მრავალ-
ეთნიკური ქვეყანა განიცდის მოქალაქეობრიობის გრძნობის ნაკლებობას, ჩა-
მოყვალიბებელია ეროვნული რაობის და სამოქალაქო საზოგადოების გან-
ცდა. ერთადერთი გზა ქართული ერთობის შექმნისა მოქალაქეობრივი
გრძნობის განვითარებაზე გადის.

2) საგარო დისკუსიების ნაკლებობა უსაფრთხოების პრობლემებზე. იგუ-
ლისტება, რომ უსაფრთხოების საკითხებს უნდა განიხილავდნენ მთავრო-
ბის სპეციალური ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და დამო-
უკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მოსახლეობის უმეტე-

სობა თვლის, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს საქმეა და არ აინტერესებს, თუ როგორ და რა გზით იქნება იგი უზრუნველყოფა ფილი.

3) სოციალური ფსიქოლოგიის სფერო. ბოლო წლებში განცდილი სამსახურო მარცხისა და შინაარეულობის შედეგად საზოგადოების დიდმა ნაწილმა დაკარგა საკუთარი ერის ჩრდინა. გავრცელებულია აზრი, რომ საქართველოს არ შესწევს უნარი საკუთარი უსაფრთხოება უზრუნველყოს და მთლიანად უნდა დაყყრდნოს ამ სკითხში გარეშე ძალას: ზოგისთვის ეს ძალა რუსეთია, სხვისთვის შეიძლება ნატო იყოს. ჩრდინის აღდგენა, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს, საქართველოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

4) მმართველობის სტილი. არ არსებობს თანმიმდევრული და საჯაროდ გაცხადებული პოლიტიკური კურსი. შენარჩუნებულია ლიდერობის ისეთი სტილი, რომელიც გულისხმობს, რომ პოლიტიკური კონცეფციები საიდუმლო უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ საზოგადოებამ, არამედ მთავრობამაც არ უნდა იცოდეს, თუ რაში მდგომარეობს სახელმწიფოს მართვის ერთიანი კონცეფცია. აქედან, ყოველ მინისტრს თუ სახელმწიფო დაწესებულებას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი პოლიტიკური კურსი. ნათელად უსაფრთხოების სფეროსაც მოიცავს.

5) სახელმწიფო ინსტიტუტთა მშენებლობა. პრობლემათა ეს ჯგუფი გულისხმობს ჭრაც დაუმთავრებელი კონსტიტუციის მიღებას, არმიის მშენებლობას და პასუხისმგებლობათა ნათელი სისტემის შექმნას, რომელიც ყველა უწყებამ იცის, თუ რა მოეთხოვება. ამჟამინდელი სისტემის ფარგლებში ყველა ყველაფერზე აგებს პასუხს და ამავე დროს არავინ იცის, თუ ვის რა მოეთხოვება კონკრეტულად.

ესაა მთავარი პრობლემები, მაგრამ არსებობს ნაკლები მნიშვნელობის, თუმცა მაიც ყურადსალები საკითხები. ერთი მათგანია ის, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩამოყალიბებული პოლიტიკა. არ არსებობს საქართველოს იმიჯის გაუმჯობესებაზე ზრუნვის ერთიანი კურსი. აქ არ იგულისხმება მხოლოდ დასავლეთი – საჭიროა მეზობელ რეგიონებში, მაგალითად სამხრეთ რუსეთში, საქართველოს იმიჯზე მუშაობაც. პრობლემაა ისიც, რომ მიუხედავად საქართველოს მოსახლეობის განათლების შედარებით მაღალი დონისა, არასაკმარისია კომპეტენტური კადრები სამხედრო, ეკონომიკურ, საკანონმდებლო სფეროებში. არ არსებობს ამ მდგომარეობის გაუმჯობესების ნათელი სამთავრობო პოლიტიკა.

ქერეტ ბრაუნი: მსჯელობა დაიწყო იმის გარკვევით, თუ რა არის ეროვნული უსაფრთხოების საფუძველი და რა ელემენტებისაგან შედგება უსაფრთხოების მექანიზმი. გამოვყავით შეიდი ელემენტი: შესაძლო საფრთხეეთა განსაზღვრა, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება, საკა-

ნონმდებლონ ბაზის შექმნა, ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური პოტენციალის შეფასება, საზოგადოებრივი განათლების წარმართვა, ღაგეგმვის მიზანის და მისი კონტროლის მექანიზმთა შემუშავება, ქვეყნის სამხედრო და სამეცნიერო პოტენციალის გადახალისება.

ამის შემდეგ გამოიყო ორი მთავარი საკითხი – ეროვნული უსაფრთხოების საკანონმდებლო უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნული თავდაცვის სფეროში. პარლამენტმა უნდა მოსთხოვოს თავდაცვის სამინისტროს საგარეო საფრთხისა და საქუთარი სამხედრო პოტენციალის შეფასება, სამხედრო ძალის კონცეფციის ჩამოყალიბება, მოკლე და გრძელვადიანი საფინანსო დაგეგმვა. აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე საერთო-ეროვნული ღებატების გამართვა და კონსენსუსის პოვნა, რაღაც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მყარი უნდა იყოს და არ იცვლებოდეს მთავრობების თუ პოლიტიკური კურსების ცვლასთან ერთად.

საქართველო უნდა გაჰყენოს სხვა ქვეყნების მაგალითს და შექმნას მცირე ზომის ელიტური ნაწილი, რომელიც მზად იქნება სამშედობო ოპერაციებისათვის. აქედან მოხდება უცხოური ტაქტიკის, კონცეფციებისა და კვალიფიკაციის გავრცელება. აგრეთვე აღინიშნა, რომ შესაძლებელია არა-სამთავრობო სექტორის გამოყენება უსაფრთხოების სისტემის განვითარებისათვის.

ინაკლი მჭედლიშვილი: ჩვენ განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

- 1) რა არის უსაფრთხოების კონცეფცია, ვის მიერ უნდა იყოს იგი მომზადებული და რა პროცედურები უნდა გააროს.
- 2) როგორი უნდა იყოს საქართველოს საერთომინისო და შიდა სტრატეგია, საქართველოში რუსეთის ჯარის როლი და მომავალი.

დისკუსიის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემცველი დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ როგორც სახელმწიფო სტრუქტურები აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლის ჩათვლით, ისე დამოუკიდებელი ორგანიზაციები და ინდივიდუალური პირები. მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქცია, სადაც სხვადასხვა იდეები და წინადაღებები თავს მოიყრის და დოკუმენტს მთლიანი სახე მიეცემა, შეიძლება შესარულოს პრეზიდენტთან არსებულმა უსაფრთხოების საბჭომ. ამის შემდეგ მოხდება მიღებული დოკუმენტის შეფასება, რომელშიც კვლავ მიიღებენ მონაწილეობას სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურები, მაგრამ განსაკუთრებული დატვირთვა მიეცემა პარლამენტს და მის კომიტეტებს. ამის შემდეგ დოკუმენტი გადის საბოლოო ექსპერტის უშმშროების საბჭოსა და პრეზიდენტის მრჩეველების მიერ და მას ხელს აწერს პრეზიდენტი. გულში დისკუსია გამოიწვია იმ საკითხმა, თუ რა უნდა გააკეთოს პარლამენტმა პრეზიდენტის ხელმი-

წერის შემდეგ: დაამტკიცოს დოკუმენტი თუ ცნობად მიიღოს. გაიმარჩვა ამ უკანასკენელმა აზრმა. კონცეფციის დამტკავებას დასჭირდება 6-12 ოჯე და იგი გათვლილი უნდა იყოს ხუთწლიან პერსპექტივზე. ეს ვარა არე ბულია, რადგან 5 წელი საჭიროა სტაბილური შეიარაღებული სტრუქტურების შესაქმნელად.

მთავარი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს დოკუმენტს, არის საქართველოს სუვერენიტეტი. აქედან გამომდინარე საჭიროა მოხდეს იმ ფაქტორთა და ძალათა იღენტიფიკაცია, რომელიც საფრთხეს შეუქმნის სუვერენიტეტს და დაისახოს ამ საფრთხეთა განეიტრალების გზები.

კამათი გამოიწვია იმან, ტერიტორიული თუ ცენტრალიზებული წესით უნდა აიგოს საქართველოში შეიარაღებული ძალები. ტერიტორიული პრინციპის უპირატესობაა სიიავე, რაც ძალიან მნიშვნელოვნია საქართველოს თვის, როგორც ღარიბი ქვეყნისთვის. არმიის ცენტრალიზებულად მოწყობის მომხრეები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ზოგ რეგიონში კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობები, რომლებზეც გავლენა აქვს რუსეთს, მათმა შეიარაღებამ და ტერიტორიული სტრუქტურით გაერთიანებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს სტაბილობას. განხილულ იქნა იმგვარი ტერიტორიული მოწყობა, რომელიც გამოირცხავს ამ სპეციალობას. ქვეყნის ერთიანობის ლაპარაკისას არ შეძლება ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ეთნიკური ჯგუფები, გარში ყველამ ერთად უნდა იმსახუროს და გარის ტერიტორიული პრინციპით მოწყობა სრულიადაც არ გულისხმობს ეთნიკური არმიების შექმნას.

რაც შეხება საქართველოში რუსეთის გარის ყოფნას, დისკუსიის შედეგები შეიძლება შემდეგნაირად შეგამდეს: განვითარების ამ ეტაპზე ის მისაღებია, პერსპექტივში კი მან უნდა დატოვოს საქართველო.

ერგონდ როჯერისი: პირველ რიგში მინდა მაღლობა გაღავსადო ბატონ დიტერ გლიცას, რომელმაც პრობლემისადმი სისტემური მიღეომა შემოგთავაზა. შევთანხმდით, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ამჟამინდელი პოლიტიკა გარდამავალი ხასიათისა უნდა იყოს და ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი ვერ იქნება, ამიტომ ორწლიან პერიოდზე შევჩერდით. სისტემური მიღეომა გულისხმობს ხუთ ნაბიჯს. პირველ რიგში საჭიროა საქართველოს ინტერესთა განსაზღვრა. ჩვენ ოცი ასეთი ინტერესი გამოვყავთ. შემდეგ მოგხდინეთ ინტერესთა კლასიფიკაცია. პირველი კატეგორია შეიცავს ფართო ინტერესებს, ანუ ისეთ ინტერესებს, რომელთა გამოც საქართველოს შეუძლია ომში ჩაბმა. მეორე კატეგორიაა ძალზე მნიშვნელოვანი ინტერესები, შემდეგ მნიშვნელოვანნი და ბოლოს - უზრალოდ ინტერესები.

შევთანხმდით სამ ფართო ინტერესზე. ესენია საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა, საქართველოს ეროვნული თავდაც-

ვა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ამის შემდეგ გადავდგით მესამე ნაბიჭი, ანუ შევეცადეთ განგვესაზღვრა თუ რაა საჭირო ამიტომ ვარ მიზანთა მისაღწევად. ძირითადი ყურადღება პირველ ინტერესზე უსური ვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას დაკუთმეთ. სუვერენიტეტის პირველ საფრთხედ განისაზღვრა უცხოური სამხედრო ბაზები. მეორე საფრთხედ გაგებულ იქნა ეროვნული კონსენსუსისა და ოვითშეგვების ნაკლებობა. ეროვნულ თავდაცვაზე ღილანს არ გვისაუბრია, რადგან გასაგებია, რომ საკუთარ საზღვრებს უნდა იცავდე. ამდღნად, ჩვენ სწრაფად გადავედით მესამე ფართო ინტერესზე — დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საკითხზე. აღინიშნა, რომ ეს პროცესი ალბათ ორ წელიწადზე მეტს გასტანს. ჩვენ შევთანხმდით, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს არმიის ორგანიზება და გაძლიერება.

მთავარი დასკვნა ისაა, რომ თუ მთავრობა ან არასამთავრობო ორგანიზაციები სისტემურად მიუღებიან უსაფრთხოების პრობლემატიკას, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია შემუშავებული იქნება.

დაფით დოსაბერიძე: ჩვენი საუბარი ძირითადად შეეხებოდა ორ ასპექტს: ზოგად პრობლემებს და კონკრეტულ ონისძიებათა სქემებს. ზოგადი პრობლემების დონეზე გამოყვავით საგარეო და სამინაო ფაქტორები. საგარეო პილიტიკის მიმართულებებიდან საქართველოსთვის პრიორიტეტულად ჩავთვალეთ ევრაზიის კორიდორის მშენებლობა, როთუ საქართველო დამაკაშირებელ რეკორდ იქცევა რესურსებით მდიდარ ცენტრალურ აზია-სა და განვითარებულ ეკონომიკურ უნდა იყოს ერთიანი კავკასიური კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა. დასავლეთი ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს საქართველოს, თუ არ იქნა კავკასიაში სტაბილურობის ერთიანი სისტემის შექმნის მცდელობა. მაგრამ აქვე ითქვა, რომ დღევანდელ ეტაპზე, როცა არსებობს მკვეთრი დაპირისპირება კავკასიის ხალხებს შორის, რომელიც ემყარება არა მხოლოდ ეთნიკურ, არამედ ეო-პოლიტიკურ თუ სტრატეგიულ ინტერესთა დაპირისპირებას, ამ საკითხის სწრაფი გადაწყვეტა არარეალურია. გამოსავალი არის ის, რომ საქართველომ გააძლიეროს სახელმწიფო სტრუქტურები და მიაღწიოს სახელმწიფო სისტემის მაქსიმალურ სტაბილიზაციას. სწორედ სტაბილური საქართველოს ფაქტორი უნდა იქცეს იმ შემოქრებ ძალად, რომელიც შეძლებს კავკასიის გაერთიანებას. კავკასიის ერთიანობა უნდა იყოს იდეალი და არა ხვალინდელი დღის მოკლევადიანი გეგმა.

სშინაო ფაქტორებიდან ყველაზე მეტი ყურადღება მიექცა ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის გაუცხოების პრობლემას. მოსახლეობის ერთი ნაწილი პოლიტიკური მოსაზრებებით მტრულად არის განწყობილი ხელისუფლებისადმი, მეორე და უფრო ღიღმა ფენამ კი ეკონომიკური მდგომარეობის გამო საერთოდ დაკარგა ინტერესი სახელმწიფო პოლიტი-

კისაღმი. ამ პრობლემის დასაძლევად უცილებელია რეფორმების დაწარება. შეიძლება ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნის ინტერესი შეეჭხოს ეკონომიკურ რეფორმებს. ამ შემთხვევაში, ეკონომიკის განვითარებას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი. ძლიერი ეკონომიკის შექმნა მრავალშე შესაძლებელს გახდის ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნას. ამჟამად ეს სტრუქტურები მაქსიმალურად მობილური და იაფი უნდა იყოს.

ურადღება გამახვილდა იმ გარემოებზეც, რომ საქართველოს პოლიტიკურ წრეებში იმედგაცრუებისა და საკუთარი თავისადმი უნდობლობის განწყობილებაა გავრცელებული. სახელმწიფოს, ერის, მათი ლიდერების პოლიტიკური ნება მეტად მნიშვნელოვნი ფაქტორია, რომელიც გავლენას მოახდენს მრავალი პრობლემის გადაწყვეტისას.

დასავლეთის დახმარების პრესპექტივებთან დაკავშირებით ითქვა, რომ ეს დახმარება ვერ იქნება სამხედრო სახისა, მაგრამ დასავლეთს შეუძლია აქტიურად დახმაროს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბებაში და პროფესიული კადრების მომზადებაში. ეს შეეხება არმიის მშენებლობასაც.

არმიის მშენებლობის კონკრეტული საკითხების განხილვისას მოხალისეობისა და საყოველთაო სამხედრო გაწვევის მოხსენები მივიღნენ საერთო აზრამდე: გარის მცირებილობაზე ელიტარული ნაწილი უნდა იქმნებოდეს მოხალისეობის პრინციპზე და ასრულებდეს სწრაფი რეაგირების კორპუსის ფუნქციებს, არმიის მრავალრიცხვნების პრობლემა კი უნდა გადაწყდეს საყოველთაო სამხედრო სამსახურით. არმიაში სამსახურის ვადა უნდა შემცირდეს და არმია ტერიტორიულ პრინციპზე უნდა მოეწყოს, ოღონდ ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეთნიკურ-რეგიონული გამიჯვა.

დაზვერვა საჭიროებს ღრმა რეფორმებს. სამხედრო დაზვერვის მიზანი უნდა იყოს მეზობელი სახელმწიფოების სამხედრო მდგომარეობის შესწავლა. კონტრადაზვერვის პრიორიტეტული სამოქმედო არე უნდა იყოს ეთნოკონფლიქტები, რომლებიც ხშირად გარედან იმართება. კონტრადაზვერვა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ინფორმაციის მოპოვებას და არავითარ შემთხვევში არ უნდა იქნას გაგებული ძალისმიერ სტრუქტურად, რომელიც მოსახლეობაში გაღიზიანებას გამოიწვევს.

დაგიოთ დარჩიაშვილი: გვუფში დიდი ადგილი დაიკავა დისკუსიაშ იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული უსართხოების კონცეფციის სამართლებრივი სტატუსი. ამ მხრივ ერთმანეთს შეეჭახა ირი პოზიცია: მონაწილეთა უმრავლესობა მივიდა შეთანხმებამდე, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია უნდა იყოს პოლიტიკური დეკლარაცია, მიღებული ფართო განსჯის შედეგად, როგორც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ძალებისა თუ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების, ისე ფართო საზოგადო-

ებრიობის მონაწილეობით. ეს არის საერთო პოლიტიკური ნების გამოხატულება, რომლის დარღვევა დაუშვებელია, მაგრამ დარღვევისათვის ჩაიყოფა მე სასჯელი არ იგულისხმდება, რადგან ამგვარ კონცეფციას არ შეიძლება ჰქონდეს კანონის ძალა. ზოგი ქართველი მონაწილის მხრიდან გამოითქვა ეჭვი, რომ შეიძლება დემოკრატიის დიდი გამოცდილების მქონე ქვეყნებში ამგვარი პოლიტიკური დეკლარაცია მართლაც არ დაირღვეს, მაგრამ საქართველოში, სადაც სამართლებრივი ცნობიერება დაბალია და ხშირად კანონებსა და კონსტიტუციასაც კი არ სცემენ პატივს, იქნებ უმჯობესი იყოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემადგენელი მხარეები კანონების პაკეტის სახით იყოს დაფიქსირებული.

აზრთა ამ დაპირისპირებამ დისკუსია წაიყვანა უფრო ზოგადი საკითხისაკენ იმის შესახებ, თუ როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ, ხომ არ არის პილიტიკური ელიტის ნაწილი, მიუხედავად ზოგადი პრო-დასავლური ორიენტაციისა, გაუცნობიერებლად ორიენტირებული ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელზე. თავდაპირველად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თუ რა ტიპის სახელმწიფოს შენებს საქართველო. მივეღით იმ დასკვნამდე, რომ თუ ლაპარაკია სტაბილურ, შორს გამიზნულ სტრატეგიაზე, სამოქალაქო, ღია საზოგადოება უფრო კარგი გარანტია ეროვნული უსაფრთხოებისათვის. მოქალაქეების დარაჩმა ქვეყნის დასაცავად ისეთ საზოგადოებაშია უფრო ადვილი, რომელიც მოქალაქეებს ცხოვრების თავისუფალ პირობებს სთავაზობს.

დისკუსიის შეორე ნაწილში გამოიყო კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც აამაღლებს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობას. ამ ფაქტორებიდან აღინიშნა: პოლიტიკური და სამხედრო განათლება; რეალური და ეფექტური ბიუჯეტის შედგენა; უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული რეფორმა, რაც კერძოდ გულისმობს საინფორმაციო-სადაზერვო სამსახურის გამოყოფას ძალისმიერი ბერკეტებისაგან; უფრო პრინციპული საგარეო პოლიტიკის გატარება; უსაფრთხოების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების უკეთესი ინფორმაციული უზრუნველყოფა.;

ნინო ნანაგა: გაუფი შეთანხდა საწყის პრინციპზე, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პიროვნების ინტერესებს უნდა დაეფუძნოს. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება დემოკრატიული ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია ყოფილი საბჭოთა იმპერიის ღოქტრინისაგან, რომელიც ყველაფერს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე საზღვრავდა. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ეროვნულ მენტალიტეტს და ტრადიციებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებში ეთნიკური და კონფესიური ჯგუფებისადმი ტოლერანტობის და მათ შორის თანასწორობის პრინციპთა დამკვიდრებას, რაც მიღწეული უნდა იყოს განათლების მეშვეობით.

რაც შეეხება საქართველოში შეიარაღებული ძალების მშენებლობის

პრინციპს, დღევანდელ პირობებში საქართველომ უპირატესობა გაწვევის სისტემას და არა პროფესიული არმიის შექმნას უნდა მიანიჭოს.

უსაფრთხოების სისტემის შემუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ ეკონომიკურ განვითარებას და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას. საქართველოში არიან სპეციალისტები, ვისაც შეეძლება უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება, მათ სჭირდებათ უფრო მეტად ინტელექტუალური, ვიზუალური დამატება.

თავმჯდომარებ აღნიშნა, რომ ბრეინსტორმინგის შედეგად მოხდა არა მარტო უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებასთან დაკავშირებულ პრობლემათა განსაზღვრა, არამედ საფუძველი დაყდო დასმულ პრობლემებზე პასუხების ძიებას, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბებას.

ხანმოკლე შესვენების შედეგები გოლფგანგ მანიგმა შეაჯამა სემინარის შედეგები. ქართველი მონაწილეების პრიორი, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბებისას გასათვალისწინებელია სამი საბაზო მოთხოვნილება. პირველი მათგანი, როგორც რამდენიმეჭრ იქნა აღნიშნული, არის სამთავრობო ქმედებებში და გეგმებში საჯაროობის ნაკლებობა. აქედან მომდინარეობს ძალისმიერ სტრუქტურათა მიერ სამოქალაქო, კერძოდ საპარლამენტო კონტროლის უგულებელყოფა. მეორე პრობლემაა ლოიალობის ნაკლებობა. სახელმწიფო ჯერაც ჩამოყალიბების პროცესშია და მოქალაქეობრივი შეგნების განვითარებში ლოიალობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ლოიალობის ნაკლებობა კერძოდ ჩანს იმაში, რომ ახალგაზრდები თავს არიდებენ გაწვევას და ჯარისკაცები საქმარის მონაცემებას არ იჩენენ სამსახურისადმი. მესამე, საქართველოში დიდი სიხარულით არ ხვდებიან საზოგადოების მონაწილეობას უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. ხშირად მაღალ თანამდებობებს იკავებენ დაუმსახურებლად, რაც მეტყველებს მაკონტროლებელ მექანიზმთა ნაკლებობაზე.

გარდა ამ სამი მთავარი პრობლემისა, ბრეინსტორმინგის შედეგად გამოიყეთა სამი მთავარი იდეაც. პირველი გულისხმობს მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებას, რაც შეანელებს ეთნიკურ სეპარატიზმს, განავითარებს ლოიალობის გრძნობას. ლაპარაკი არაა მხოლოდ სახელმისამართის ლოიალობზე, არამედ სამოქალაქო მოსამასახურთა ერთგულებაზეც. სახელმწიფოსამი ერთგულება ნიშნავს საკუთარ პისტი დარჩენას ეკონომიკური გაჭირვების მიუხედავად. შემდეგ, აღნიშნა რეგიონული კოოპერაციის მნიშვნელობა. საქართველოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა შეიძლება გაძლიერდეს რეგიონის სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით. ყოველივე ეს საბოლოოდ სამოქალაქო კონტროლის დამკიდრების საწინდარიც გაძეგბა.

როგორ უნდა მოხდეს ამ იდეათა განხორციელება? მე მინდა მოვუწოდო ქართველ მონაწილეებს გააგრძელონ მუშაობა სხვადავსხვა ფორმით: პარლამენტში, სამთავრობო სტრუქტურებში, სტატიების გამოქვეყნებით. ამ

კონფერენციაში გამოჩნდა მონაწილეთა სრული გახსნილობა, როთაც ხელი შეეწყო ჩემს მიერ სემინარის დასაწყისში ნახსენებ „სტრატეგიული საზოგადოებრიობის“ ჩამოყალიბებულ იღეათა განვითარებულების კიდევ ერთი საშუალებაა არასამთავრობი ორგანიზაციათა გააჭირება. მათ შეუძლიათ შემდგომი შესვედრების ორგანიზება, მთავრობასთან და პარლამენტთან თანამშრომლობა. ამით ხელი შეეწყობა ნდობის ატმოსფეროს განვითარებას და სპორგალოებასაც გაუზრდება მეტი ინტერესი ფუსაფრთხოების პრობლემატიკის მიმართ.

ია თიგნანებმ, ფრიდრის ექერტის ფონდის საქართველოს ბიუროს
ხელმძღვანელმა, ისაუბრა ფონდის ამოცანებსა და სამომავლო გეგმებზე
ეროვნული უსაფრთხოების პრობლემატიკასთან დაკავშირებული მუშაობის
მიმართულებით.

3/

F 76-841
3
SEARCHED
INDEXED
SERIALIZED
FILED